




იურიდიული დახმარების
სამსახური



წლიური ანგარიში

2014



იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა

იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა საქართველოში განხორციელებულ ერთ-ერთ წარმატებულ რეფორმად ითვლება. საქართველო ერთ-ერთი ის ქვეყანაა, რომელმაც უარი თქვა სახაზინო ადვოკატის საბჭოთა მოდელზე და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისი იურიდიული დახმარების მოდელი შექმნა. თუმცა, წარმატებული რეფორმის მიუხედავად, წლების განმავლობაში საკმაოდ მწვავედ იდგა იურიდიული დახმარების სისტემის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის საკითხი, რაც ქმნიდა დაბრკოლებებს ამ სისტემისადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცებაში.

დისკუსიები იურიდიული დახმარების სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის შესახებ 2012 წელს დაიწყო და 2013 წელს, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების მიღებით დასრულდა. ამ ცვლილებების მიხედვით, 2014 წლიდან, იურიდიული დახმარების სამსახური აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემიდან გავიდა, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა და სამართავად გადაეცა 9-წევრიან საბჭოს, რომელშიც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, სახალხო დამცველის, ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო სფეროს, იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული საზოგადოებრივი ადვოკატების წარმომადგენლები შევიდნენ.

სამსახურის სამართლებრივი სტატუსის ახლებურად განსაზღვრამ და იურიდიული დახმარების საბჭოს ფორმირებამ ახალი შესაძლებლობებიც და ახალი გამოწვევებიც გააჩინა. ამიტომ, საბჭომ ძალზე ინტენსიურად იმუშავა საიმისოდ, რომ სამსახურს წარმატებით დაესრულებინა გარდამავალი ეტაპი და გაეგრძელებინა შეუფერხებელი განვითარება. საბჭომ შეასრულა კანონით მასზე დაკისრებული ყველა ამოცანა: აირჩია სამსახურის დირექტორი, დაამკტიცა სამსახურის და საბჭოს დებულებები, ასევე იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი ნორმები. გარდა ამისა, საბჭო

აქტიურად ჩაერთო სამსახურის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებაში, რომელიც იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდას, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას გულისხმობს.

იურიდიული დახმარების საბჭო კვლავაც აქტიურად განაგრძობს იურიდიული დახმარების სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების ხეშეწყობას და საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული დამოუკიდებლობის მყარი გარანტიების უზრუნველყოფას.

პატივისცემით,

ელზა ლემკაშელი
საბჭოს თავმჯდომარე



დირექტორის მიმართვა

2014 წელი იურიდიული დახმარების სამსახურისთვის იყო მნიშვნელოვანი გამოწვევების, ახალი სტატუსის მოპოვების და დატვირთული მუშაობის წელი.

წარმატებით დასრულდა 2012 წლის ბოლოს ინიცირებული ინსტიტუციური რეფორმა და, სხვადასხვა სამინისტროს მმართველობის სფეროში სამსახურის 7-წლიანი ფუნქციონირების შემდეგ, იურიდიული დახმარების სამსახური აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემიდან გავიდა და სრულიად დამოუკიდებელ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. ეს მოვლენა უდაოდ წარმოადგენს იურიდიული დახმარების რეფორმის გარდამტეხ ეტაპს, რომელმაც საბოლოოდ დაადასტურა, რომ ჩვენი ქვეყანა მზადაა, არა მხოლოდ ფორმალურად უზრუნველყოს დაცვის უფლების რეალიზების მექანიზმები, არამედ ამ მექანიზმებს მაღალი ინსტიტუციური გარანტიები შესძინოს.

ახალი სამართლებრივი სტატუსის მოპოვებასთან ერთად, მნიშვნელოვანი იყო, დროულად და სრულფასოვნად ჩამოყალიბებულიყო იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად შექმნილი კოლეგიური ორგანო - იურიდიული დახმარების საბჭო. საბჭოს პირველი შემადგენლობა მუშაობას აქტიურად შეუდგა და გასული წლის მანძილზე არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო.

ამ ინსტიტუციური რეფორმების ფონზე, სამსახური აგრძელებს მნიშვნელოვანი როლის შესრულებას მართლმსაჯულების სისტემაში. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საერთო სასამართლოების მიერ განხილული სისხლის სამართლის საქმეების 42% სწორედ იურიდიული დახმარების სამსახურზე მოდის. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ გამამართლებელი განაჩენებით დასრულებული საქმეების 29% მოგებულია იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მიერ. გარდა ამისა, გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით, 15%-ითაა გაზრდილი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში გაწეული კონსულტაციების რაოდენობა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ უფასო იურიდიულ დახმარებაზე მოთხოვნა მზარდია.

სამსახურმა განაგრძო მუშაობა იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის ზრდის მიმართულებით. 2014 წლის ბოლოს, მაღალმთიან იმერეთში ამოქმედდა სამსახურის მე-18 ოფისი - საჩხერის საკონსულტაციო ცენტრი, რაც მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან განხორციელდა. გარდა ამისა, მომზადდა და განხორციელდა უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმადაც, 2015

წლის 15 აპრილიდან, გადახდისუუნარო მოქალაქეებისათვის, უფასო საადვოკატო მომსახურება ხელმისაწვდომი იქნება არა მხოლოდ სისხლის სამართლის, არამედ გარკვეული კატეგორიების სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზეც. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილი უფლებები. სამსახური კიდევ უფრო მეტად გახდება ორიენტირებული სოციალურ საჭიროებებზე, რაც ჩვენი საზოგადოების ყველაზე დაუცველ წევრებს საშუალებას მისცემს, თავიანთი სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად აქტიურად იბრძოლონ.

სამსახურის მანდატის გაფართოებასთან ერთად, ჩვენ დიდი ყურადღება დავუთმეთ გაზრდილი ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო რესურსების მობილიზების საკითხს. სამსახურის, იურიდიული დახმარების საბჭოს და საეთაშორისო დონორი ორგანიზაციების მჭიდრო კოორდინაციით, ასევე საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან აქტიური თანამშრომლობით, 2015 წლისთვის სამსახურის საბიუჯეტო დაფინანსება 51.7%-ით გაიზარდა. იმ ფონზე, რომ სამსახურის დაფინანსება ბოლო 6 წლის მანძილზე თითქმის უცვლელი იყო, ეს, სამსახურის დამოუკიდებლობასთან ერთად, კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს.

ამ სიახლეების გარდა, 2014 წელს განხორციელდა კიდევ არა ერთი საინტერესო ღონისძიება, რომელიც იურიდიული დახმარების ხარისხის ზრდას, ასევე სამსახურის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ემსახურებოდა. მსურს, მადლობა გადავუხადო იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებს, იურიდიული დახმარები საბჭოს წევრებს, ჩვენს მხარდამჭერ საერთაშორისო თუ სახელწმიფო ორგანიზაციებს, რომლებმაც არ დაიშურეს ძალისხმევა, რათა საქართველოს იურიდიული დახმარების სისტემა კიდევ უფრო ძლიერი და პროგრესული გამხდარიყო.

პატივისცემით,

მელიტონ ბენიძე,
სამსახურის დირექტორი

შ ი ნ ა ა რ ს ი

იურიდიული დახმარების სისტემა	8
იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა (2013-2014)	16
სრული და ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენით დასრულებული საქმეები.....	22
საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებული საქმეები	23
საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებული საქმეები.....	25
ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული საქმეები	26
სხვა სახის დანაშაულთან დაკავშირებული საქმეები	27
ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენით დასრულებული საქმეები	29
სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტით და დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლით დასრულებული საქმეები.....	30
სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტით დასრულებული საქმეები.....	31
დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლით დასრულებული საქმეები	32
სხვა წარმატებული სისხლის სამართლის საქმეები.....	34
სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში მოგებული დავები	36
უკანონოდ შეფარდებული პატიმრობისთვის, პირმა კომპენსაცია მიიღო.....	37
ალიმენტთან დაკავშირებული დავები.....	37
დაზღვევასთან, სოციალურ დახმარებასთან, პენსიასა და სახელფასო დავალიანებასთან დაკავშირებული დავები	38
ჯარიმებსა და კომუნალურ დავალიანებებთან დაკავშირებული დავები	38
სესხებთან დაკავშირებული დავები.....	39
საოჯახო ურთიერთობებსა და მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავები.....	40
ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული დავები	40
ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა მოძალადე მეუღლისგან თავის დაცვა შეძლო	41
სტატისტიკა.....	42
სისხლის სამართლის სიტემის რეფორმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა.....	52
სამსახურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა	53
იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	54
იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაზრდა.....	54
ტერიტორიული დაფარვა	55
იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არარეგისტრირებული პირებისათვის	56
მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა	57

იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა	57
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზაცია.....	58
მენეჯმენტის სისტემის გამართვა, იურიდიული კლინიკებისა და სტაჟირების სისტემების გამართვა	59
თანამშრომელთა მუდმივი პროფესიული გადამზადება	61
მაღალი საზოგადოებრივი ცნობადობა იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ	64
საერთაშორისო ურთიერთობები	66
იურიდიული დახმარების სამსახურის გამოწვევები.....	70
2014 წლის ფინანსური ანგარიში.....	74

იურიდიული დახმარების სისტემა

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური ფუნქციონირებს 2007 წლიდან და წარმოადგენს ეფექტურ მექანიზმს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ნორმებით გარანტირებული დაცვის უფლების რეალიზაციისათვის. სამსახურის მართვის, ასევე მისი დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, შექმნილია კოლეგიური ორგანო - იურიდიული დახმარების საბჭო. იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია მთელი ქვეყნის მასშტაბით - იურიდიული დახმარების ბიუროების, საკონსულტაციო ცენტრებისა და მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის მეშვეობით.

იურიდიული დახმარების სისტემის განვითარების ისტორია

საქართველოში იურიდიული დახმარების რეფორმა 2004 წელს დაიწყო. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა იურიდიული დახმარების სისტემის ჩამოყალიბების კონცეფცია შეიმუშავა. საქართველოს სახელმწიფომ ახლებურად შეაფასა კონსტიტუციის 42-ე მუხლი, რომელიც დაცვის უფლების გარანტირებაზე საუბრობს და საკმაოდ დისკრედიტებული ე.წ. სახაზინო ადვოკატის სისტემის რეფორმა დაიწყო. რეფორმის დეტალები საქართველოში ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის EUJUST THEMIS-ის მხარდაჭერით შემუშავებულ სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიაშიც აისახა. სტრატეგიას 2005 წლის 9 ივლისს, პრეზიდენტის განკარგულებით დამტკიცების შემდეგ, ოფიციალური ძალა მიეცა. იმავე წელს პილოტური საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახური ამოქმედდა.

2005 წლის 17 თებერვალს, იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახური შეიქმნა. პილოტური პროექტის ფარგლებში გაიხსნა ორი ტერიტორიული ბიურო: თბილისში – გლდან-ნაძალადევის რაიონსა და ზესტაფონში. ამ ოფისებში დასაქმებული ადვოკატები ექვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის და მსჯავრდებულის დაცვას ახორციელებდნენ სისხლის სამართლის პროცესის ამა თუ იმ სტადიაზე. სხვადასხვა არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციათა და სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფი პარალელურად იურიდიული დახმარების შესახებ კანონის პროექტზე მუშაობდა.

2007 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა იურიდიული დახმარების შესახებ კანონი მიიღო, რაც რეფორმის ახალი ფაზის დასაწყისად იქცა. კანონის საფუძველზე და საპილოტე საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურისა და მისი ორი ბიუროს ბაზაზე იურიდიული დახმარების სამსახური, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით, იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში 2007 წლის ივლისში შეიქმნა. 2007 წლის ბოლოს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დამატებით 8 იურიდიული დახმარების ბიურო, ხოლო 2008 წელს - 2 საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა.

2009 წლიდან იურიდიული დახმარების სამსახურმა ფუნქციონირება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში განაგრძო. იმავე წელს ამოქმედდა უფასო იურიდიული დახმარების გაწევის კიდევ ერთი მოდელი - მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი, რომლის მეშვეობითაც, კერძო ადვოკატები, საბიუჯეტო დაფინანსების საფუძველზე, კანონით დადგენილ შემთხვევებში, სისხლის სამართლის საქმეებში ერთვებიან. 2010 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის ორი ოფისი გაიხსნა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, რაც წარმოადგენდა მნიშვნელოვან წინსვლას ეთნიკური უმცირესობებისათვის

უფასო სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით. მომდევნო წლებში დამატებითი ოფისები წალკასა და მარნეულში, ასევე მესტიაში გაიხსნა.

იმ ფონზე, რომ სახელმწიფომ რამდენჯერმე გადაავადა უფასო საადვოკატო მომსახურების დანერგვა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, ბოლო წლებში იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოება მაინც მოხერხდა. პატიმრობის კოდექსის შესაბამისად, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, უფასო იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომი გახდა იმ ბრალდებულებისა და მსჯავრებულებისათვის, რომელთა მიმართ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება. 2011 წლის მარტიდან კი იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები ერთვებიან იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში, რომლებზედაც ადმინისტრაციული სახდელის სახით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა.

2013 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის განვითარება 4 პრიორიტეტული მიმართულებით გაგრძელდა. ესენია: (1) იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა, (2) მაღალი ხარისხის სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფა, (3) საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და (4) დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ამ მხრივ, მიღწეულ შედეგებს შორის აღსანიშნავია, რომ მარნეულსა და მესტიაში იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრები გაიხსნა. გარდა ამისა, სამსახურმა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე საადვოკატო მომსახურების დანერგვის შესახებ კონცეფცია წარმოადგინა. მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა „სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე საზოგადოებრივ ადვოკატთა საქმიანობის სახელმძღვანელო წესები“ შეიმუშავა, ასევე ადვოკატთა საქმიანობის შეფასების სისტემის პილოტირება განახორციელა.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის ბოლოს, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ახალი ხელისუფლება იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებლობის გაძლიერების ინიციატივით გამოვიდა. 2013 წლის დეკემბერში, კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, სამსახური სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გამოეყო და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ, დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა. ამით, იურიდიული დახმარების სამსახურის არსებობაში განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო.

იურიდიული დახმარების საბჭო

2014 წლის 27 იანვრიდან, იურიდიული დახმარების სამსახურის მართვის, მისი ფუნქციების ეფექტიანი შესრულების, სამსახურის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით ფუნქციონირება დაიწყო კოლეგიურმა ორგანომ – იურიდიული დახმარების საბჭომ.

საბჭო შედგება 9 წევრისგან და დაკომპლექტებულია ადვოკატთა ასოციაციის 3 წევრით, ასევე - იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სახალხო დამცველის, საია-ს, სამეცნიერო სფეროსა და იურიდიული დახმარების სამსახურის თითო წარმომადგენლით. მათი უფლებამოსილების ვადა, გარდა იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლისა, 4 წელია. საბჭო აღჭურვილია ფართო უფლებამოსილებებით, რომელთა შორისაა: სამსახურის დირექტორის არჩევა, სამსახურის სტრატეგიის დამტკიცება და კონტროლი მის შესრულებაზე, სამსახურის დებულებისა და საქმიანობის მარეგულირებელი სხვა დოკუმენტების დამტკიცება, გადაწყვეტილების მიღება იურიდიული დახმარების ოფისების გახსნისა და გაუქმების თაობაზე და სხვა.

საბჭოს მოქმედი შემადგენლობა



ელგა ლეჟკაშვილი
საბჭოს თავმჯდომარე,
ადვოკატთა ასოციაცია



ნათუნა ფურელიანი
თავმჯდომარის მოადგილე,
ადვოკატთა ასოციაცია



ბონდო ალასანი
ადვოკატთა ასოციაცია



ნათია ჩირიკაშვილი
იუსტიციის სამინისტრო



კახაბერ სოფროშვილი
იუსტიციის უმაღლესი საბჭო



ილია ჭანტურია
სახალხო დამცველის აპარატი



ეკა ფოფხაძე
საია




მარინე კვანტრავა
სამეცნიერო სფერო




ვალერი კვანტრავა
იურიდიული დახმარების
ბიუროები

იურიდიული დახმარების სამსახურის სტრუქტურა



სამსახურის ოფისები და თანამშრომლები:

- იურიდიული დახმარების ბიურო: ოფისი, სადაც მუშაობენ ადვოკატები და კონსულტანტები. ოფისს ხელმძღვანელობს ბიუროს უფროსი. დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით 11 ბიურო ფუნქციონირებს: თბილისში, მცხეთაში, თელავში, რუსთავში, გორში, ახალციხეში, ზესტაფონში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთსა და ბათუმში.
- საკონსულტაციო ცენტრი: ოფისი, სადაც დასაქმებულია მხოლოდ კონსულტანტი. დღეისათვის, 7 საკონსულტაციო ცენტრი მოქმედებს: ოზურგეთში, ამბროლაურში, ახალქალაქში, წალკაში, მარნეულში, მესტიასა და საჩხერეში.
- ცენტრალური აპარატი: ოფისი, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს.
- თანამშრომელთა რიცხოვნობა: 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იურიდიული დახმარების სამსახურის სამტატო რიცხოვნობა განისაზღვრება 187 სამტატო ერთეულით. აქედან, 50% ადვოკატია, 15% კონსულტანტი, 5% სპეციალისტი, 11% ცენტრალური აპარატის თანამშრომელი, ხოლო ტექნიკური პერსონალი 19%-ს შეადგენს.



მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი:

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი უფასო იურიდიული დახმარების მიწოდების ერთ-ერთი საშუალებაა. იგი 2009 წლის მაისში შეიქმნა უფასო სამართლებრივი დახმარების შეუფერხებელი მიწოდების მიზნით და ფუნქციონირებს შემდეგი სისტემით: იურიდიული დახმარების ფარგლებში მოქმედებს იმ კერძო ადვოკატთა მონაცემთა ბაზა, რომლებიც, საბიუჯეტო ანაზღაურების საფუძველზე, მოქალაქეებს უფასოდ ემსახურებიან. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატები სისხლის სამართლის საქმეებში ერთვებიან ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, როდესაც ბიუროს დახმარებისთვის ერთი და იმავე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ორი ან რამდენიმე, საპირისპირო ინტერესების მქონე პირი მიმართავს. ასეთ დროს იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი მხოლოდ ერთ პირს დაიცავს, ხოლო სხვა პირს (პირებს) დამცველად რეესტრის ადვოკატი (ადვოკატები) დაენიშნება. იმ რეგიონებში, სადაც იურიდიული დახმარების ბიურო არ ფუნქციონირებს, სისხლის სამართლის საქმეებზე რეესტრიდან ადვოკატის დანიშვნას უზრუნველყოფენ იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრები.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეესტრში 65 კერძო ადვოკატი ირიცხება. 2014 წელს მათ მონაწილეობა მიიღეს 418 სისხლის სამართლის საქმეში.

რეესტრის ადვოკატის ანაზღაურების სისტემა ასეთია: იურიდიული დახმარების სამსახური მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატს, სისხლის სამართლის საქმეში ჩართვისათვის, ერთჯერადად ფიქსირებულ თანხას უხდის (დღე-ღამის დროის გათვალისწინებით). გარდა ამისა, ანაზღაურდება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ადვოკატის მიერ განხორციელებული თითოეული მოქმედება და მიღწეული შედეგი (საქმეთა კატეგორიების - ნაკლებად მძიმე, მძიმე, განსაკუთრებით მძიმე - გათვალისწინებით).

სამსახურის მანდატი

2014 წლის დეკემბრის მდგომარეობით, იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი მოიცავს:

- უფასო იურიდიული კონსულტაციას ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე; სამართლებრივი დოკუმენტების (განცხადება, შუამდგომლობა და სხვ.) შედგენას;
- საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურება სისხლის სამართლის პროცესში სავალდებულო დაცვის შემთხვევებში; ასევე - გადახისუუნარო ბრალდებულის, მსჯავრდებულის და გამართლებულის მომართვის შემთხვევაში.
- დამცველის მომსახურებას არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების საქმეებზე;
- დამცველის მომსახურებას იმ გადახდისუუნარო მსჯავრდებულთათვის, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში;

- დამცველის მომსახურებას ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობას.

პირის გადახდისუუნარობის საკითხი

საქართველოს მთავრობის 2014 წელის 30 ივნისის №424 დაგენილებით განსაზღვრულია პირის გადახდისუუნარობის დადასტურების წესი. ამ წესის მიხედვით:

- პირი გადახდისუუნაროდ ითვლება და სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება ენიჭება, თუ იგი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე.
- ზემოაღნიშნულის გარდა, გადახდისუუნაროდ ითვლება და სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება ენიჭება აგრეთვე პირს, თუ იგი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000-ზე და მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას:

ა) იმ მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი;

ბ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი;

გ) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი;

დ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონესრულწლოვანი პირი;

ე) მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, თუ შესაძლებლობის შეზღუდვა მიმდინარეობს ბავშვობიდან;

ვ) 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;

ზ) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.

იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა (2013-2014)

2013-2014 წლებში იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა ორი ძირითადი მიმართულებით განვითარდა: 1) ახლებურად განისაზღვრა იურიდიული დახმარების სამსახურის ინსტიტუციური მოწყობის საკითხი, 2) ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც, გადახდისუუნარო პირებისთვის, სასამართლო წარმომადგენლობას არა მხოლოდ სისხლის, არამედ გარკვეული კატეგორიის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზეც უზრუნველყოფს.

იურიდიული დახმარების რეფორმა (2013-2014)

2013-2014 წლებში იურიდიული დახმარების რეფორმა ორი ძირითადი მიმართულებით განვითარდა: 1) ახლებურად განისაზღვრა იურიდიული დახმარების სასამართლოს ინსტიტუციური მოწყობის საკითხი, 2) ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც, გადახდისუუნარო პირებისთვის, სასამართლო წარმომადგენლობას არა მხოლოდ სისხლის, არამედ გარკვეული კატეგორიის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზეც უზრუნველყოფს.

სამსახურის ახალი სამართლებრივი სტატუსი

საქართველოს სახელმწიფომ უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის ვალდებულება 1995 წელს, კონსტიტუციის მიღებით, და 1999 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან მიერთებით, იტვირთა. ამის შემდეგ, იურიდიული დახმარების სისტემის მოწყობის საკითხი დღის წესრიგში არაერთხელ დამდგარა.

2005-2007 წლებში განხორციელდა იურიდიული დახმარების ახალი სისტემის პილოტირება და პირველი იურიდიული დახმარების ბიუროები თბილისსა და ზესტაფონში ამოქმედდა. პილოტირების შედეგებზე დაყრდნობით, 2007 წელს, იურიდიული დახმარების სამსახური, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ჩამოყალიბდა. სამსახურის სტატუსზე მსჯელობა განახლდა მას შემდეგ, რაც პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებად გარდაიქმნა და ამით დაცვისა და ბრალდების მხარეებს შორის ინტერესთა კონფლიქტი გაჩნდა. ამის გათვალისწინებით, 2009 წელს შეიქმნა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, რომელმაც სახელმწიფოს ხარჯზე არსებული სამართლებრივი დახმარების სისტემის კოორდინაცია ითავა. თუმცა, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება ამ მოდელმაც ვერ შეძლო.

ერთი სამინისტროს სისტემაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, საგამომიებო ორგანო და იურიდიული დახმარების სამსახური მოექცა. ეს განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნიდა ისეთ შემთხვევებში, როდესაც იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი იცავდა მსჯავრდებულს, რომელიც არაადამიანური მოპყრობის გამო სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას უჭიოდა, ხოლო ფაქტს სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტი იძიებდა. ეს პირდაპირ მოდის წინააღმდეგობაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დანერგილ სტანდარტებთან.

გარდა ამისა, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატს სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციასთან დაპირისპირება უწევდა მაშინაც, როცა მსჯავრდებულის მიმართ ციხეში დისციპლინური სახდელის დაკისრება იხილებოდა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად შექმნილი ახალი მთავრობა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან იურიდიული დახმარების სამსახურის გამოყოფისა და ამ სამსახურის სტატუსის ახლებურად განსაზღვრის ინიციატივით გამოვიდა. ახალი სტატუსის განხილვაში ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები ჩაერთვნენ. რამდენიმეთვიანი მუშაობის შედეგად, შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც პარლამენტმა 2013 წლის დეკემბერში მიიღო.

სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის და საზოგადოებრივი ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობის გარანტიები

2014 წლის 26 იანვარს, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, იურიდიული დახმარების სამსახურმა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემა დატოვა და დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა.

ამავე საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, 27 იანვრიდან საქმიანობას შეუდგა 9-წევრიანი იურიდიული დახმარების საბჭო. საბჭო აღიჭურვა ფართო უფლებამოსილებებით, რომელთა შორისაა სამსახურის დირექტორის არჩევა, სამსახურის სტრატეგიის დამტკიცება და კონტროლი მის შესრულებაზე, სამსახურის დებულებისა და საქმიანობის მარეგულირებელი სხვა დოკუმენტების დამტკიცება, გადაწყვეტილების მიღება იურიდიული დახმარების ოფისების გახსნისა და გაუქმების თაობაზე და სხვა. ახალი საკანონმდებლო ნორმების შემუშავებისას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული დამოუკიდებლობის გარანტიებს. ამის გათვალისწინებით, „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონით დადგინდა, რომ სამსახურის დირექტორის ინიციატივით იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის ან კონსულტანტის სამსახურიდან გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ იურიდიული დახმარების საბჭოს თანხმობით.

საკანონმდებლო ცვლილებებმა ახლებურად განსაზღვრა სამსახური ანგარიშვალდებულის საკითხიც. კერძოდ, სამსახურის დირექტორი, ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 მარტისა, საქმიანობის ანგარიშს საქართველოს პარლამენტს წარუდგენს.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოება

სამსახურის დამოუკიდებლობის მაღალი გარანტიების უზრუნველყოფის შემდეგ, იურიდიული დახმარების სფეროს ყველაზე აქტუალურ საკითხს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე უფასო საადვოკატო მომსახურების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის მიღებით, ეს ვალდებულება სახელმწიფომ ჯერ კიდევ 2007 წელს აიღო, თუმცა, მომდევნო წლებში, მისი შესრულება 4-ჯერ გადაავადა და, ფაქტობრივად, წლების განმავლობაში, გადახდისუუნარო პირებს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლოში ან ადმინისტრაციულ ორგანოში საკუთარი ინტერესების დაცვა ადვოკატის გარეშე, დამოუკიდებლად უწევდათ¹.

სამსახურისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შემდგომ, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება გამოთქვამდა მზადყოფნას, გადაედგა კიდევ ერთი გაბედული ნაბიჯი და აღარ გადაედო სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში იურიდიული დახმარების კუთხით ვალდებულებების შესრულება. ამის გათვალისწინებით, 2014 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურმა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, ინტენსიური სამუშაოები აწარმოა ახალი საკანონმდებლო ცვლილებების მოსამზადებლად, რომლებიც გზას გაუხსნიდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოებას.

აღნიშნული სამუშაოების ფარგლებში, GIZ-მა ჩამოაყალიბა ქართველ და უცხოელ ექსპერტთა მისია, რომელმაც ჩაატარა საერთაშორისო პრაქტიკის, ასევე იურიდიული დახმარების სამსახურის საჭიროებების კვლევა და შეიმუშავა სათანადო რეკომენდაციები სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში იურიდიული დახმარების დანერგვის მიმართულებით. გარდა ამისა, GIZ-ისა და UNDP-ის ორგანიზებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, რომელთა ფარგლებშიც, საკითხის შესახებ მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობა მოსამართლეებს და ადვოკატებს, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს მიეცათ.

საბოლოოდ, მომზადდა ცვლილებათა პაკეტი, რომელიც „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსს შეეხო. აღნიშნული ცვლილებები ძალაში 2014 წლის 31 დეკემბერს შევიდა და, მათ მიხედვით, 2015 წლის 15 აპრილიდან, გადახდისუუნარო პირებისათვის, უფასო საადვოკატო მომსახურება ხელმისაწვდომი გახდება გარკვეული კატეგორიის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზეც.

¹ „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში 2012 წლის 19 ივნისს შეტანილი ცვლილებების თანახმად, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის საბოლოო თარიღად 2015 წლის 1 იანვარი განისაზღვრა.

ცვლილებების თანახმად, 2018 წლის 1 იანვრამდე იმოქმედებს უფასო იურიდიული დახმარების გაწევის დროებითი წესი. აღნიშნული წესის მიხედვით, 2015 წლის 15 აპრილიდან უფასო იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომი იქნება საოჯახო სამართლის, მემკვიდრეობის, ასევე სოციალურ დახმარებასთან, პენსიებთან, დევნილთა უფლებებთან, ჯანმრთელობის დაცვასა და პაციენტთა უფლებებთან, ვეტერანთა და საომარ მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახების სოციალურ დაცვასთან, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამასთან, სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის მოთხოვნით ფიზიკურ პირს შეეძლება მიმართოს, როგორც იურიდიული დახმარების ბიუროს, ისე სასამართლოს. ორივე შემთხვევაში, მოწმდება ორი პირობის არსებობა. კერძოდ, პირი უნდა იყოს გადახდისუუნარო, ხოლო საქმე - რთული და მნიშვნელოვანი, რათა საქმეზე საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშნვა მოხდეს. ამასთან, მოსამართლეს ევალება, რომ პირისათვის სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნის მომართვა საკუთარი განჩინებით დაასაბუთოს.

საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სფეროში, იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილებით, დამატებით შეიძლება განისაზღვროს საქმეთა სხვა კატეგორიები, რომლებზეც უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევა მოხდება. ადმინისტრაციულ ორგანოებში წარმომადგენლობის გაწევა კი 2016 წლის 1 იანვრიდან მოხდება.

სრული და ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენით დასრულებული საქმეები

საქართველოში, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების 29% მიღწეულია იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მონაწილეობით. ამას ადასტურებს 2014 წლის სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, სულ, ქვეყნის მასშტაბით, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამამართლებელი განაჩენი გამოტანილია 76 საქმეზე, აქედან 22 საქმეზე გამამართლებელ განაჩენს საზოგადოებრივმა ადვოკატებმა მიაწლიეს.

ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენით სულ დასრულდა 90 სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის - 18 საქმე საზოგადოებრივი ადვოკატების მონაწილეობით.

ანგარიშის ამ თავში წარმოგიდგენთ რამდენიმე წარმატებულ საქმეს.

საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებული საქმეები

- იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს ადვოკატის, რომან კეიდიას ძალისხმევით, აკაკი კ., რომელსაც ბრალი ედებოდა, ბინაში უკანონოდ შეღწევით, ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობაში, რაც 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

თავდაპირველად აკაკი კ.-მ, რომელიც იყო სოციალურად დაუცველი, ადვოკატის გარეშე წარმოებულ საგამომიებო მოქმედებებისას, თავი სრულად სცნო დამნაშავედ. საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატის, რომან კეიდიას, ჩართვის შემდეგ კი გაირკვა, რომ ბრალდებულს ჩვენება მიაცემინეს ზეწოლის ქვეშ, რადროსაც მან მისცა აღიარებითი ჩვენება და დაასახელა არარსებული ფაქტები და თანამონაწილეები. სასამართლო გამოძიებისას საქმეში გამოიკვეთა მთელი რიგი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები ბრალდების მხარის მოწმეების მხრიდან. საბოლოოდ, 8-თვიანი პატიმრობის შემდეგ, ბრალდებული სრულად გაამართლა და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს ადვოკატის, იოსებ გაბარაევის, ძალისხმევით, გიორგი მ., რომელსაც ბრალი ედებოდა ყაჩაღობასა და ნასამართლები პირის მიერ ცივი იარაღის ტარებაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოში, ადვოკატმა ი.გაბარაევმა თავისი დაცვისქვეშმყოფის ნაწილობრივ გამართლებას მიაღწია. გორის რაიონულმა სასამართლომ გიორგი მ. უდანაშაულოდ სცნო ყაჩაღობის ნაწილში. თუმცა, მსჯავრი დასდო ცივი იარაღის ტარებისათვის და სასჯელის სახით 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. დაცვის მხარემ ეს განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და გიორგი მ.-ის სრული გამართლება მოითხოვა. საბოლოოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ცივი იარაღის ტარების ბრალდებაში გიორგი მ. უდანაშაულოდ ცნო და სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს ადვოკატის, გია ფარადაშვილის ძალისხმევით, ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულში ბრალდებულთაგან, ერთი სრულად გამართლდა, მეორეს კი სასჯელი მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდა.

თეიმურაზ გ.-ს ბრალი ედებოდა სამ დამოუკიდებელ ეპიზოდად ჩადენილ ჯგუფურ ქურდობაში. მასვე ბრალად ედებოდა საბრძოლო მასალის და ფეთქებადი ნივთიერების უკანონო შენახვა, ასევე - ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება.

მეორე დასაცავ პირს, აკაკი ხ.-ს, ბრალად ედებოდა, თეიმურაზ გ.-სა და სხვა დაუდგენელ პირებთან ერთად, ქურდობის ერთი ეპიზოდის ჩადენა.

წინასასამართლო სხდომაზე, თეიმურაზ გ.-ს ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის ტარებაში წარდგენილი ბრალდება მოეხსნა და ამ ეპიზოდში მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა. ხოლო საქმის არსებითი განხილვისას, განაჩენით, იგი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საბრძოლო მასალის და ფეთქებადი ნივთიერების უკანონო შენახვაში და, აკაკი ხ.-სთან ერთად ერთად ჩადენილ, ჯგუფური ქურდობის ეპიზოდში. საბოლოოდ, მას ბრალი დაუდასტურდა ქურდობის მხოლოდ ორ ეპიზოდში და სასჯელის სახით განესაზღვრა 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

დაცვის მხარემ, საკმარისი მამხილებელი მტკიცებულებების არარსებობის გამო, აკაკი ხ.-ის გამართლებაც მოითხოვა, რაც სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, დავით ბოჭორიშვილის, ძალისხმევით, დავით მ., რომელსაც ქურდობის მცდელობისათვის 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, დაცვის მხარემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ბრალდებულს ქურდობის განზრახვა არ ჰქონდა. ასევე ხაზსგასმით აღინიშნა, რომ მიყენებული ზიანი უმნიშვნელო იყო. თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის არგუმენტები და დავით მ.-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებული საქმეები

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატები, გიორგი რამაზაშვილი და ლევან შალამბერიძე იცავდნენ ორ პირს, რომელსაც ბრალი ედებოდა ქურდული სამყაროს წევრობაში.

საზოგადოებრივი ადვოკატების აქტიური ძალისხმევით შედეგად, მათი დაცვისქვეშ მყოფი პირები გამართლდნენ. აღსანიშნავია, რომ ორივე ბრალდებული საგამოძიებო ორგანოსა და სასამართლოში გამოცხადებას თავს არიდებდა. ქურდული სამყაროს წევრობა ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

- 2014 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატთა ძალისხმევით, რამდენიმე პირი სისხლის სამართლის კოდექსის 238¹ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში გამართლდა. აღნიშნული მუხლი გულისხმობს ცივი იარაღის ტარებას მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ, რომელსაც, დანაშაულის ჩადენისას, ცივი იარაღის ტარებისთვის უკვე განმეორებით ჰქონდა დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი.

წარმოგიდგენთ ამ მუხლთან დაკავშირებულ რამდენიმე საქმეს, რომელიც გამამართლებელი განაჩენით დასრულდა:

- აჭარის ბიუროს ადვოკატის, ნუგზარ გრძელიძის ძალისხმევით, მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი გ.შ., რომელსაც სისხლის სამართლის კოდექსის 238¹ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, დასკვნით სიტყვაში, საზოგადოებრივმა ადვოკატმა მოითხოვა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გაეთვალისწინებინა 238¹ მუხლთან დაკავშირებით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტება და ბრალდებული გაემართლებინა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და იხელმძღვანელა უზენაესი სასამართლოს ხსენებული განმარტებით, რომლის თანახმადაც, ბრალდებულის ნასამართლობის მიუხედავად, გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად აუცილებელი იყო, რომ ბრალდებული განმეორებით ყოფილიყო ადმინისტრაციულსახდელ-დადებული იმავე სამართალდარღვევის ჩადენისათვის, რაც გ.შ.-ს შემთხვევაში არ დგინდებოდა. საბოლოოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლომ გ.შ.-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

- ნუგზარ გრძელიძის ძალისხმევით, ამავე ბრალდებაში გამართლდა კიდევ ერთი პირი - წარსულში ნასამართლები გ.ც.. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 238¹ მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში დასაცავი პირის გამართლებას მიაღწიეს: იურიდიული დახმარების სამსახურის ფოთის ბიუროს ადვოკატმა - დავით გოგუამ, მცხეთა-მთიანეთის ბიუროს ადვოკატმა - ალუდა ბუჩუკურმა და თბილისის ბიუროს ადვოკატმა - ანნა შიშნიაშვილმა.

ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული საქმეები

- იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს ადვოკატის, თამაზ გურაშვილის, ძალისხმევით, ნარკოტიკული საშუალების შექმნა-შენახვაში ბრალდებული ინდოეთის მოქალაქე – გურმეეტ ს. გამართლდა.

ადვოკატი, თამაზ გურაშვილი საქმეში გამოძიების ეტაპზე ჩაერთო და დასაცავის პირის სასარგებლოდ არაერთი მტკიცებულების მოპოვება შეძლო. შედეგად, სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ გურმეეტ ს. უდანაშაულოდ ცნო და გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის აჭარის ბიუროს ადვოკატის, ირაკლი პირველის, ძალისხმევით, გ.ქ., რომელსაც ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ გამართლდა.

საქმის მასალების შესწავლის შემდეგ, საზოგადოებრივმა ადვოკატმა ბრალდების მხარის პოზიციაში იმგვარი დარღვევა აღმოაჩინა, რომელიც ბრალდებულის გამართლების საფუძველს წარმოადგენდა. კერძოდ, გაირკვა, რომ პროკურატურა გ.ქ.-ის დამნაშავედ ცნობას იმავე ადმინისტრაციული სახდელდადების დადგენილებაზე დაყრდნობით მოითხოვდა, რომელიც ერთხელ უკვე გახდა გ.ქ.-

ის მსაჯვრდების საფუძველი. საბოლოოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და გ.ქ.-ის მიმართ

სხვა სახის დანაშაულთან დაკავშირებული საქმეები

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, იმედა ქარქაშაძის, ძალისხმევით, ნ. დ., რომელსაც ბრალად ედებოდა პირის მძევლად ხელში ჩაგდებაში გამოსასყიდის მიღების მიზნით, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

ნ.დ. თავს დამნაშავედ არ სცნობდა. საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, ბრალდების მხარემ ვერ უზრუნველყო მისი ბრალეულობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენა. საბოლოოდ, სასამართლომ ნ.დ.-ის მიმართ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი და სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს ადვოკატის, ლალი ჩაველაშვილის, ძალისხმევით კ.ო., რომელსაც ცემაში ედებოდა ბრალი და 15 თვემდე ვადით გამასწორებელი სამუშაოს შესრულება ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

დაცვის მხარეს მიაჩნდა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა კ.ო.-ს მიმართ უნდა შეწყვეტილიყო, რადგან ცემის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. თუმცა, ბრალდების მხარემ ეს პოზიცია არ გაიზიარა და საქმის განხილვა სასამართლოში გაგრძელდა. საბოლოოდ, გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული უდანაშაულოდ სცნო.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, მევლუდ ჯანჯღავას, ძალისხმევით, 64 წლის მამაკაცი, ი.გ., რომელსაც, 11 წლის გოგონასთან გაუკუღმართებული ფორმით სქესობრივი კავშირის დამყარებისათვის, 1-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

საქმეში სხვადასხვა მკტიცებულების, მათ შორის, ფსიქიატრიული, ბიოლოგიური, კომპიუტერულ-ტექნიკური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზების დასკვნების არსებობის მიუხედავად, ი.გ.-ის ბრალეულობა ვერ დადასტურა. აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, სულხან კომახიძის, ძალისხმევით, შსს-ს ყოფილი თანამშრომელი, მერაბ წ., რომელსაც, ჩვენების მოპოვების მიზნით რამდენიმე პირის ცემისა და წამების გამო, 5-დან 9

წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

მერაბ წ.-ის წინააღმდეგ არა ერთი მკტიცებულების არსებობის მიუხედავად, საზოგადოებრივმა ადვოკატმა პროკურატურის მიერ წარმოდგენილ მკტიცებულებებში უზუსტობების და ურთიერთწინააღმდეგობების გამოვლენა შეძლო. გარდა ამისა, ადვოკატმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებებზე, რომ მისი დაცვისქვეშ მყოფის ბრალეულობის დასადგენად გამოძიება სრულყოფილად არ ჩატარებულა, ასევე მერაბ წ.-ისთვის ბრალის წაყენება საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით მოხდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულ მერაბ წ.-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, ნინო მჭედლიშვილის, ძალისხმევით, დავით ა., რომელსაც თვითნებობის ჩადენისათვის 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

საქმის მასალების მიხედვით, დავით ა., თვითნებური ქმედებებით, ერთ-ერთ შპს-ს ხელს უშლიდა მშენებლობის დაწყებაში, რამაც კომპანიას მნიშვნელოვანი ზიანი მოუტანა. თუმცა, საზოგადოებრივმა ადვოკატმა შეძლო იმის დასაბუთება, რომ მშენებლობის შეჩერება დავით ა.-ს ქმედებებით გამოწვეული არ იყო. გარდა ამისა, ადვოკატმა წარმოადგინა იმის მკტიცებულებებიც, რომ სამშენებლო ობიექტის ნაცვლად, სადაო ტერიტორიაზე მერიას სპორტული მოედანი უნდა მოეწყო, რაც არ შესრულებულა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ დავით ა.-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, ნინო მჭედლიშვილის დახმარებით კიდევ ერთი ბრალდებული გამართლდა. საქმე ეხებოდა პატიმრობაში მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქე, ბ.ს.-ს, რომელსაც, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აკრძალული ნივთის შენახვისათვის 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა.

ადვოკატმა ნინო მჭედლიშვილმა მოიპოვა მკტიცებულებები, რომ ბ.ს.-ს სათანადოდ არ განუმარტეს ის წესები, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სხვადასხვა ნივთების შენახვას არეგულირებს. ბრალდებულის თანამესაკნეების თანახმად, მათ არ უნახავთ, როგორ გააცნეს ბ.ს.-ს შესაბამისი სამართლებრივი აქტი. აღნიშნულ პროცედურაში მონაწილეობა უარყო თარჯიმანმაც, რომელსაც ნივთების შენახვის წესები ბ.ს.-სთვის უნდა ეთარგმნა და ხელმოწერით დაედასტურებინა ეს ფაქტი.

აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, სასამართლომ ბ.ს.-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენით დასრულებული საქმეები

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, ირმა ინასარიძის, ძალისხმევით, ერაყის მოქალაქე ომერ ა.დ., რომელსაც ბრალი ედებოდა ჯგუფურად ჩადენილ ძარცვასა და მძევლად ხელში ჩაგდებაში, სასამართლოს მიერ ნაწილობრივ გამართლდა.

ომერ ა.დ. თავს დამნაშავედ არ სცნობდა. საზოგადოებრივი ადვოკატი თავისი დაცვისქვეშ მყოფის უდანაშაულობის დასაბუთებას ცდილობდა იმ არგუმენტებით, რომ ომერ ა.დ. იძულებით გახადეს დანაშაულის თანამონაწილე და რომ ბრალდებულს არავინ სურდა ჩაეგდო მძევლად. თუმცა, თბილისის საქალაქო სასამართლომ ომერ ა.დ. მხოლოდ ძარცვის ბრალდებაში გაამართლა, ხოლო მძევლად ხელში ჩაგდებაში დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახით 9 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატი, ნინო მჭედლიშვილი, იცავდა ნუგზარ თ.-ს, რომელსაც ბრალი ედებოდა ქურდობასა და ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობაში. იმის გამო, რომ ნუგზარ თ. წარსულში უკვე ორჯერ იყო ნასამართლები ქურდობისა და გამოძალვისთვის, მას ბრალი კიდევ უფრო დაუმძიმდა და, ყაჩაღობისთვის - 15 წლამდე, ხოლო ქურდობისთვის 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა.

საქმის მასალების შესწავლისა და ბრალდებულთან გასაუბრების შემდეგ, საზოგადოებრივმა ადვოკატმა, ნინო მჭედლიშვილმა დაადგინა, რომ მისი დაცვისქვეშ მყოფისთვის წარდგენილი ბრალდება არასწორად იყო კვალიფიცირებული. კერძოდ, 2013 წელს, პრეზიდენტმა ნუგზარ თ. შეიწყალა და სასჯელის მოხდისგან გაათავისუფლა. შესაბამისად, იგი აღარ უნდა ჩათვლილიყო ნასამართლობის მქონე პირად. ნინო მჭედლიშვილმა ყურადღება პროკურატურის მტკიცებულებებში არსებულ უზუსტობებსა და ურთიერთწინააღმდეგობებზე გამახვილა.

საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ ნუგზარ თ. გაამართლა ბრალდების იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა დანაშაულის ჩადენას ქურდობისა და გამოძალვისთვის ორჯერ ან მეტჯერ ნასამართლები პირის მიერ. ნუგზარ თ. დამნაშავედ იქნა ცნობილი ქურდობასა და ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობაში და, სასჯელის სახით, 7 წლის თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტით და დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლით დასრულებული საქმეები

სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირისათვის ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ შედეგს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა წარმოადგენს. 2014 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატთა ძალისხმევით, სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 201 სისხლის სამართლის საქმეზე, მათ შორის 102 საქმეზე საზოგადოებრივი ადვოკატების დაცვისქვეშ მყოფის მიმართ გამოყენებულ იქნა განრიდების მექანიზმი.

გარდა ამისა, 2014 წელს, საზოგადოებრივ ადვოკატთა პრაქტიკაში დაგროვდა არა ერთი საინტერესო საქმე, რომელიც ბრალდებულის სასარგებლოდ დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლით დასრულდა.

ანგარიშის ამ თავში წარმოგიდგენთ რამდენიმე წარმატებულ საქმეს.

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტით დასრულებული საქმეები

- იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს ადვოკატის, ლალი ჩაველაშვილის, ძალისხმევით, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიბახევის 6 მკვიდრი, რომელთაც ქურდობაში ედებოდათ ბრალი, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განარიდეს.

სოფელ ძიბახევის ექვს მკვიდრს ბრალად ედებოდათ სოფლის მიმდებარედ, წყლის სათავე ნაგებობასთან არსებული ლითონის მილის ფარულად დაეუფლება. საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატის ჩართვის შემდეგ, გაირკვა, რომ ბრალდებულებმა მილის დემონტაჟი წყალმომარაგების სისტემის შეკეთების მიზნით განახორციელეს.

საბოლოოდ, ექვსივე ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ იქნა განრიდების მექანიზმი და, ზიანის ანაზღაურების პირობით, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის ბიუროს ადვოკატის, ქეთევან თალაკვაძის, ძალისხმევით, თაღლითობაში ბრალდებულ, 82 წლის ავთანდილ ყ.-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებას ჰქონდა საკმარისი მტკიცებულებები და ავთანდილ ყ.-ის ბრალეულობა ადვილად დასტურდებოდა, საზოგადოებრივმა ადვოკატმა, დასაცავი პირის ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ავთანდილ ყ.-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას მიაღწია.

- საზოგადოებრივი ადვოკატის დახმარებით, რამდენიმე არასრულწლოვანი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განარიდეს. კერძოდ:
 - იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატების, სულხან კომახიძისა და მილერინა მემარნიშვილის ძალისხმევით, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განარიდეს არასრულწლოვანი ზ.ა., რომელსაც ბრალი ედებოდა ჯანმრთელობის გაზრახ მსუბუქ დაზიანებაში.
 - იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის, მევლუდ ჯანჯღავას ძალისხმევით, სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა არასრულწლოვან სალომე ლ.-ს მიმართ, რომელიც ბრალდებული იყო ქურდობის მცდელობაში.
 - იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის, სულხან კომახიძის ძალისხმევით, სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა არასრულწლოვან ლევან ე.-ს

მიმართ, რომელსაც ბრალი ედებოდა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ჩადენაში, რასაც არ გამოუწვევია ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, გიორგი მდინარაძის, ძალისხმევით, სამართლებრივ პასუხისმგებლობას განარიდეს 16 წლის ნიკა გ., რომელსაც, არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი ფსიქოლოგიური იძულების გამო, 18 თვემდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, მევლუდ ჯანჯღავას, ძალისხმევით, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განარიდეს 15 წლის ზეზვა მ., რომელსაც ქურდობაში ედებოდა ბრალი.

დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლით დასრულებული საქმეები

- იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს ადვოკატის, იამზე ჯღარკავას, ძალისხმევით, ე.ი.-ს, რომელსაც, დამამძიმებელ გარემოებაში, ანგარებით, განზრახ მკვლელობის ჩადენისათვის 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასჯელი შეუმსუბუქდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ საზოგადოებრივი ადვოკატის დაცვისქვეშმყოფი წარდგენილ ბრალდებაში (სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლი) უდანაშაულოდ სცნო და ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედება დააკვალიფიცირა განზრახ მკვლელობად (სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი). ასევე, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ პატიმრობაში ყოფნისას ბრალდებულს განუვითარდა ფსიქიკური აშლილობა, და, საბოლოოდ, სასჯელის სახით განუსაზღვრა 12 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში მოხდით.

- იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს ადვოკატის, გია ფარადაშვილის, ძალისხმევით, წარსულში ქურდობისთვის ორჯერ ნასამართლები გურამ მ., რომელსაც, ძარცვის მცდელობისათვის, 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს სხდომათა დარბაზიდან გათავისუფლდა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ გურამ მ. წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ სცნო, ბრალდებულის ქმედება გადააკვალიფიცირა სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველ ნაწილზე (ცემა, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი) და სასჯელის სახით დაუნიშნა ჯარიმა

2000 ლარის ოდენობით. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ გურამ მ. 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა პატიმრობაში და იგი მთლიანად გაათავისუფლა სასჯელის მოხდისგან, ანუ დაკისრებული ჯარიმის გადახდისაგან. ამასთან, გურამ მ. სასამართლო სხდომის დარბაზიდან დაუყოვნებლივ გაათავისუფლდა.

- საზოგადოებრივი ადვოკატის, ნუნუ ნემსიწვერიძის, დახმარებით, ს.ა.-ს, რომელსაც განზრახ მკვლელობის ჩადენისათვის 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასჯელი შეუმსუბუქდა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ, ს.ა. განზრახ მკვლელობის ბრალდებაში გაამართლა, თუმცა ბრალდებულის ქმედება გადააკვალიფიცირა, როგორც ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა, და, საბოლოოდ, ს.ა.-ს ორი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ამავე საქმესთან დაკავშირებით, სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული იყო ს.ა.-სთან ერთად მყოფ გ.ტ.-ის მიმართ. გამოძიება მას ედავებოდა იმას, რომ სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინა ს.ა.-ს მიერ განზრახ მკვლელობის ფაქტი. გ.ტ.-ს დამცველად საზოგადოებრივი ადვოკატი, ნათელა ხუტიძე დაენიშნა. საბოლოოდ, თელავის რაიონულმა სასამართლომ გ.ტ. უდანაშაულოდ სცნო და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, ია თოდუას, ძალისხმევით, გიორგი ჩ.-ს, რომელსაც ბრალი არაერთგზის ჩადენილ ქურდობაში ედებოდა, სასჯელი შეუმსუბუქდა.

საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, საზოგადოებრივმა ადვოკატმა სასამართლოს ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ბრალდება არასწორად იყო დაკვალიფიცირებული. კერძოდ, დანაშაულის არაერთგზისობა გულისხმობს ნასამართლები პირის მიერ იმავე დანაშაულის განმეორებით ჩადენას. გიორგი ჩ. ადრეც იყო მსჯავრდებული ქურდობისათვის, მაგრამ 2008 წელს პრეზიდენტმა შეიწყალა იგი და სასჯელის მოხდისგან გაათავისუფლა. იმის გათვალისწინებით, რომ სასჯელისგან გაათავისუფლებული პირი ითვლებოდა ნასამართლობის არმქონედ, გიორგი ჩ.-ის ქმედება არაერთგზის ჩადენილ დანაშაულს არ წარმოადგენდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი ჩ.-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან იმავე მუხლის 1-ელ ნაწილზე გადააკვალიფიცირა და სასჯელის სახით 1 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის ბიუროს ადვოკატის, ზაქრო გვიშიანის, ძალისხმევით, ვახტანგ მ.-ს, რომელსაც განზრახ

მკვლელობისთვის 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასჯელი მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდა.

ადვოკატი მოითხოვდა, ვახტანგ გ.-სთვის წარდგენილი ბრალის გადაკვალიფიცირებას განზრახ მკვლელობიდან - აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილ მკვლელობაზე, რაც გაცილებით მსუბუქ სასჯელს, კერძოდ, 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. მცხეთის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია, გადაკვალიფიცირა ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალი და ვახტანგ მ.-ს, სასჯელის სახით, 1 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

სხვა წარმატებული სისხლის სამართლის საქმეები

- იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს ადვოკატის, იოსებ გაბარაევის, ძალისხმევით, ქურდობაში ბრალდებული არასრულწლოვანი ლუკა დ. დაკავებიდან გათავისუფლდა და ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება შეეფარდა.

ლუკა დ.-ის ქმედებამ 51 ლარის ოდენობის ზიანი გამოიწვია. საზოგადოებრივმა ადვოკატმა შეძლო სასამართლოში იმის დამტკიცება, რომ, არასრულწლოვნის დაკავების დროს, არსებითად დაირღვა საპროცესო ნორმები. დაცვის მხარე მიიჩნევდა, რომ ბრალდებულის აღიარებითი ჩვენების გათვალისწინებით, არასრულწლოვანი უნდა გათავისუფლებულიყო დაკავებიდან და, აღკვეთის ღონისძიების სახით, უნდა შეეფარებოდა მშობლების მეთვალყურეობის ქვეშ გადაცემა.

გორის რაიონულმა სასამართლომ არასრულწლოვანი გაათავისუფლა დაკავებიდან, ხოლო აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა გირაო 1000 ლარის ოდებით, პატიმრობით უზრუნველყოფის გარეშე.

- იურიდიული დახმარების სამსახურის ფოთის ბიუროს კონსულტანტის, მაია დარასელიას ძალისხმევით, სამოხელეო დანაშაულისთვის მსჯავრდებულ რამაზ რ.-ს ნასამართლობა მოეხსნა. მაია დარასელიას მიერ მომზადებულ შესაბამის შუამდგომლობაზე პირველი ინსტანციის სასამართლომ უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო, რაც გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში და საქმე ყოფილი მსჯავრდებულის სასარგებლოდ დასრულდა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის ფოთის ბიუროს ადვოკატის, დავით გოგუას დახმარებით, პრობაციონერი გიზო კ. პირობითი მსჯავრის გაუქმებას და სასჯელის ციხეში მოხდას გადაურჩა. საზოგადოებრივი ადვოკატის წყალობით,

გაირკვა, რომ გიზო კ., ქართული ენის არცოდნის გამო, არ იცნობდა პრობაციონერის უფლება-მოვალეობებს, რის შედეგადაც უნებურად დაარღვია პრობაციის ბიუროში გამოცხადების რეჟიმი. საბოლოოდ, სასამართლომ გიზო კ.-სთვის პირობითი მსჯავრის დაუქმებას მხარი არ დაუჭირა.

იგივე ბედი გაიზიარა არასრულწლოვანმა პრობაციონერმა ტიმოთე ყ.-მ, რომელსაც ასევე პრობაციის ბიუროში გამოცხადების რეჟიმის დარღვევას ედავებოდნენ. იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს ადვოკატის, მთვარისა ბიგვას, დახმარებით, არასრულწლოვანს პირობითი სასჯელი არ გაუუქმდა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, გიორგი მდინარაძის, ძალისხმევით, პირველი ჯგუფის შშმ პირი - გიორგი დ., რომელსაც, მსჯავრი დაედო ნარკოტიკული ნივთიერების დიდი ოდენობით შექენა-შენახვისათვის, სასჯელის მოხდისგან გათავისუფლდა.

ადვოკატ გიორგი მდინარაძის წყალობით, ბრალდებულთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რომელითაც გიორგი დ.-ს მოსალოდნელზე გაცილებით მსუბუქი სასჯელი დაენიშნა. შემდგომ ეტაპზე კი, ადვოკატმა მოიპოვა ცნობები გიორგი დ.-ს ჯანმრთელობის შესახებ და სასჯელის მოხდისგან მის გათავისუფლებას მიაღწია.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში მოგებულ დავები

მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლის 15 აპრილამდე, იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი არ ითვალისწინებს წარმომადგენლობის განხორციელებას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, სამსახურის კონსულტანტები გადახდისუუნარო პირებისათვის ადგენენ იურიდიულ დოკუმენტებს, რომელთა მეშვეობითაც მოქალაქეები სასამართლოსა თუ ადმინისტრაციულ ორგანოებში დავებს იგებენ. 2014 წელს სამსახურის კონსულტანტებმა შეადგინეს 3700-ზე მეტი სამართლებრივი დოკუმენტი. მათი მეშვეობით, გადახდისუუნარო პირებმა შეძლეს საოჯახო დავებისა და არა ერთი სოციალური პრობლემის მოგვარება.

ანგარიშის ამ თავში წარმოგიდგენთ რამდენიმე წარმატებულ საქმეს.

უკანონოდ შეფარდებული პატიმრობისთვის, პირმა კომპენსაცია მიიღო

იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს იურისტის, ნათია ქვარცხავას, ძალისხმევით, სოციალურად დაუცველმა მალხაზ ფ.-მ, უკანონოდ შეფარდებული პატიმრობისთვის, ფულადი კომპენსაცია მიიღო.

მალხაზ ფ.-ს სისხლის სამართლის საქმეზე იცავდა იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს ადვოკატი მთვარისა ბიგვავა, რომელმაც თავისი დაცვისქვეშ მყოფის გამართლებას მიაღწია. მიუხედავად გამამართლებელი განაჩენისა, მალხაზ ფ. მიჩნევადა, რომ, პატიმრობაში გატარებული 40 დღის გამო, იგი კომპენსაციას იმსახურებდა.

ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტმა, ნათია ქვარცხავამ, მოამზადა ადმინისტრაციული სარჩელი, რომლითაც მალხაზ ფ.-მ სახელმწიფოსგან 10 ათასი ლარი მოითხოვა. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მალხაზ ფ.-ის სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა. სასამართლომ იხელმძღვანელა ევროსასამართლოს მიერ საქართველოს სხვა მოქალაქის მიმართ მიღებული მსგავსი გადაწყვეტილებით, რომლითაც საქართველოს სახელმწიფოს 600 ევროს გადახდა დაევალა და, მალხაზ ფ.-ისთვის ზიანის ანაზღაურების მიზნით, საქართველოს პროკურატურას 2 ათასი ლარის გადახდა დააკისრა.

ალიმენტთან დაკავშირებული დავები

იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტების დახმარებით, არა ერთმა დედამ, რომელსაც მეუღლის გარეშე უწევდა არასრულწლოვანი შვილების აღზრდა, შეძლო ალიმენტთან დაკავშირებული დავების მოგება ან დავის მორიგებით დასრულება.

- იურიდიული დახმარების სამსახურის ფოთის ბიუროს კონსულტანტის, მათა დარასელიას, დახმარებით, ხათუნა ჯ.-მ შეძლო მეუღლესთან მორიგება ბავშვისთვის ალიმენტის გადახდის თაობაზე. მათა დარასელიას დახმარებით, ირა გ. ცნობილ იქნა თავისი ყოფილი მეუღლის ქონების თანამესაკუთრედ, გარდა ამისა, ბავშვის მამას დაეკისრა ალიმენტი.
- იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთის ბიუროს კონსულტანტის, ნათია ბერძენიშვილის დახმარებით, მათა რ.-მ შეძლო ბავშვის მამისთვის დაკისრებული ალიმენტის ოდენობის გაორმაგება.
- მარნეულის საკონსულტაციო ცენტრის იურისტის, ნინო პაპაშვილის დახმარებით, გიულმან ნ.-მ შეძლო თავისი შვილისთვის მამობის დადგენა და ბავშვის მამისთვის ალიმენტის დაკისრებას მიაღწია. გარდა ამისა, ნინო პაპაშვილის დახმარებით

ზემფირა გ.-მ შეძლო ბავშვის მამისთვის დაკისრებული ალიმენტის ოდენობის გაზრდა.

დაზღვევასთან, სოციალურ დახმარებასთან, პენსიასა და სახელფასო დავალიანებასთან დაკავშირებული დავები

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს კონსულტანტის, მარინე ბარაქაძის ძალისხმევით, პენსიონერმა მარო პ.-მ 22 თვის მანძილზე გაუცემელი პენსიის მიღება შეძლო.
- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს კონსულტანტის, აკაკი ლომსაძის დახმარებით, ივანე რ.-მ შეძლო, 2007–2012 წლებში, მის მიმართ, „ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში“, 4626 ლარის ოდენობით წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების მიღება. მის კოლეგას ქართლოს კ.-ს კი 396 ლარის ოდენობის სახელფასო დავალიანება აუნაზღაურდა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს კონსულტანტის, ნინო მინჯიას დახმარებით, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ დაადგინა, რომ სადაზღვევო კომპანიამ უკანონოდ უთხრა უარი სოციალურად დაუცველ - დილანა ს. შვილისთვის 3400 ლარის ღირებულის ოპერაციის დაფინანსებაზე.
- იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს იურისტის, ნათია ქვარცხავას, ძალისხმევით, შსს-ს ყოფილ თანამშრომელს, ელგუჯა ს.-ს 555.5 ლარის ოდენობის სახელფასო დავალიანება აუნაზღაურდა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისის ბიუროს კონსულტანტის, მაია ხვადაგიანის დახმარებით, მეორე ჯგუფის შშმ პირის, ცისანა ფ.-ის სამსულიან ოჯახს, რომელიც ამოღებულ იქნა სოციალურად დაუცველთა ბაზაში და მომდევნო 3 წლის განმავლობაში ეკრძალებოდა ბაზაში განმეორებითი რეგისტრაცია, სოციალური დახმარება აღუდგა.
- მაია ხვადაგიანის დახმარებით, ანტონ ქ.-მ, პენსიის ოდენობის დადგენისათვის საჭირო, სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტების მოწესრიგება (დოკუმენტებში არსებული უზუსტობის აღმოფხვრა) შეძლო.

ჯარიმებსა და კომუნალურ დავალიანებებთან დაკავშირებული დავები

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს კონსულტანტის, მარინე ბარაქაძის, დახმარებით, სოციალურად დაუცველი, აფხაზეთიდან დევნილი რუბენ ლ. საპატრულო პოლიციის ორი 500-ლარიანი ჯარიმის გადახდას გადაურჩა.

- მარინე ბარაქაძის დახმარებით, სოციალურად დაუცველ პენსიონერს, გიული ხ.-ს „ყაზტრანსგაზის“ მიერ 379.56 ლარის ოდენობით უკანონოდ დარიცხული დავალიანება ჩამოეწერა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს კონსულტანტის, ნინო მინჯიას ძალისხმევით, სემეკ-მა გურამ შ.-ს 820.95 ლარის ოდენობის ელექტროენერჯის გადასახადის დავალიანება ჩამოაწერა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის თელავის ბიუროს კონსულტანტის, მერი ხაჩიძის, ძალისხმევით, სოციალურად დაუცველი კახა ჯ. საპატრულო პოლიციის 500-ლარიანი ჯარიმის გადახდას გადაურჩა.

სესხებთან დაკავშირებული დავები

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს კონსულტანტის, მარინე ბარაქაძის დახმარებით, რამაზ ტ.-მ, რომლისგანაც 70 000 აშშ დოლარის გადახდას მოითხოვდნენ, სასამართლოში საქმე მოიგო და ყოველგვარი ფინანსური სანქციისგან გათავისუფლდა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის ბიუროს კონსულტანტის, ნათია ბერძენიშვილის ძალისხმევით, ქართლოს ზ.-მ, რომელმაც იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე, მოვალისგან მიწის ნაკვეთი მიიღო, ნაკვეთთან დაკავშირებული დავა მოიგო. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ნაკვეთის ყოფილი მესაკუთრის ნათესავების მოთხოვნა, რომლებიც თავს სადავო ნაკვეთის თანამესაკუთრებად მიიჩნევდნენ და იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმებას მოითხოვდნენ.
- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს კონსულტანტის, ლიანა კაჭაშვილის დახმარებით, სოციალურად დაუცველმა გულნარა გ.-მ მიიღო გასესხებული თანხა, რომელსაც 2 წელზე მეტი ხსნის მანძილზე ვერ იბრუნებდა.

ანალოგიური შედეგით დასრულდა 85 წლის მარტოხელა პენსიონერის, გურგენ ც.-ს საქმე, რომელმაც, გასესხებული თანხის დაბრუნებაში იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის ბიუროს კონსულტანტის, ნათია ბერძენიშვილის დაეხმარა.

საოჯახო ურთიერთობებსა და მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავები

- იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის ბიუროს კონსულტანტის, ნათია ბერძენიშვილის დახმარებით, ციალა გ.-მ, რომელსაც რძალი შვილიშვილთან ურთიერთობას უზღუდავდა, სასამართლოსგან შვილიშვილის ნახვის უფლება მოიპოვა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისის ბიუროს კონსულტანტის, მაია ხვადაგიანის დახმარებით, ნუცა ა.-მ მოიგო დავა, რის შედეგადაც მის ქმედუუნარო შვილს მამისგან ჩუქებით მიღებული ბინა საკუთრებაში შეუნარჩუნდა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის მარნეულის საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტის, ნინო პაპაშვილის დახმარებით, აიგუნ მ.-მ, რომელსაც ყოფილი მეუღლე ბავშვების წართმევით ემუქრებოდა, დავა მორიგებით დაასრულა. ბოლნისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, არასრულწლოვანი შვილები საცხოვრებლად დედასთან, აიგუნ მ.-სთან, დარჩნენ.
- იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთის ბიუროს კონსულტანტის, ნათია ბერძენიშვილის, ძალისხმევით, ორ მოქალაქეს მშობლის უფლება აღუდგა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის ფოთის ბიუროს კონსულტანტის, მაია დარასელიას დახმარებით, სოციალურად დაუცველმა ფერიდე ბ.-მ სამკვიდროს მისაღებად საჭირო დოკუმენტების მოპოვება შეძლო.

ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული დავები

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს კონსულტანტის, ლიანა კაჯაშვილის ძალისხმევით, ვახტანგ ნ.-მ, რომელსაც ტექნიკურად გაუმართავი ავტომობილი მიჰყიდეს, სასამართლოში დავა მოიგო. მოპასუხე მხარეს მის სასარგებლოდ 2800 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურება დაეკისრა.
- იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს კონსულტანტის, მერი ხაჩიძის, ძალისხმევით, ნინა ს.-ის სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომელსაც მეზობელმა მოსავალი გაუნადგურა, მიყენებული ზიანი აუნაზღარდა. მეზობელს განადგურებული მოსავლის სრული ღირებულების - 520 ლარის ანაზღაურება დაეკალა.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა მოძალადე მეუღლისგან თავის დაცვა შეძლო

ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა, მაია დ.-მ, მიმართა. მსხვერპლი შიშობდა, რომ მოძალადე ქმრის წინააღმდეგ პოლიციის მიერ მიღებული ზომები საკმარისი არ იყო და მის გრძელვადიან უსაფრთხოებას ვერ უზურუნველყოფდა. კონსულტანტმა, მაია დარასელიამ, შეისწავლა საკითხი. აღმოჩნდა, რომ პოლიციას უკვე ჰქონდა გამოცემული შემაკავებელი ორდერი, რომლის მიხედვითაც, მოძალადეს მაია დ.-სთან ყოველგვარი ურთიერთობა, მათ შორის, ერთ ჭერქვეშ ცხოვრება აკრძალა. თუმცა, აღნიშნული ღონისძიებების ვადა განსაზღვრული იყო მხოლოდ 1 თვით, რის შემდეგაც, მსხვერპლის აზრით, მის მიმართ ძალადობის ფაქტები განმეორდებოდა. კონსულტანტმა მაია დარასელიამ, მსხვერპლის უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, მოამზადა განცხადება, რომლითაც მაია დ.-მ ფოთის საქალაქო სასამართლოს მიმართა. სასამართლომ განცხადება დააკმაყოფილა და მოძალადე ქმრის მიმართ, 6-თვიანი მოქმედების ვადით, დამცავი ორდერი გამოსცა.


ყოველწლიურად, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები ათასობით სისხლის სამართლის საქმეს აწარმოებენ. საზოგადოებრივი ადვოკატების დახმარებით, ათობით ბრალდებულის მიმართ ხდება სასამართლოს მიერ სრულად ან ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენების დადგება, ასეულობით ბრალდებულის მიმართ კი - სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა. გარდა ამისა, არა ერთ საქმეზე, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, საზოგადოებრივი ადვოკატები დასაცავი პირისთვის იმაზე უფრო მსუბუქი ღონისძიების შეფარდებას აღწევენ, ვიდრე ბრალდების მხარე მოითხოვდა.

სისხლის სამართლის ყველა საქმეზე ასეთი შედეგების მიღწევა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. თუმცა, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც დაცვის ქვეშ მყოფთა მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დგება, საზოგადოებრივი ადვოკატები არ იშურებენ ძალისხმევას, რომ ბრალდებულს მაქსიმალურად მსუბუქი სასჯელი განესაზღვროს.

სტატისტიკა


*იურიდიული დახმარების სამსახური წარმოგიდგენთ
სტატისტიკურ ინფორმაციას გაწეული მომსახურების შესახებ.
ანგარიშის ამ ნაწილში თავმოყრილია ინფორმაცია
წარმოებული საქმეების, გაწეული კონსულტაციებისა და
შედგენილი დოკუმენტების, ასევე ინფორმაცია ბენეფიციართა
კატეგორიების შესახებ.*

იურიდიული დახმარების ბიუროების მიერ წარმოებაში მიღებული საქმეები წლების მიხედვით




2014: იურიდიული დახმარების ბიუროების წილი სასამართლოების მიერ განხილულ სისხლის სამართლის საქმეებში (სულ: 17164 საქმე)


- იურიდიული დახმარების ბიუროების მიერ დასრულებული სს საქმეები
- კერძო ბიუროების / ადვოკატების მიერ დასრულებული სს საქმეები




2014 წელს იურიდიული დახმარების ბიუროების მიერ წარმოებაში მიღებული საქმეები (სულ 10993)




2014: დასრულებულ საქმეთა კატეგორიები




იურიდიული დახმარების ბიუროების მიერ დასრულებულ
სს საქმეებში საპროცესო შეთანხმებათა წილი




I ინსტანციის სასამართლოში გამამართლებელი განაჩენით დასრულებული საქმეები




2014: მომართვები საზ. ადვოკატის გამოყოფაზე




2014: საადვოკატო სერვისის მიმღებთა სქესი



2014: საადვოკატო სერვისის მიმღებთა სოციალური სტატუსი






2014 წლის სხვა სტატისტიკური მონაცემები:


- გამამართლებელი განაჩენით დასრულებული საქმეები: 22
- ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენით დასრულებული საქმეები: 18
- სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტით დასრულებული საქმეები: 201
- განრიდებით დასრულებული საქმეები: 102
- საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეები: 5469
- არასრულწლოვანთა დაცვის საქმეები: 459
- არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების საქმეები: 737
- რეესტრის ადვოკატების მიერ წარმოებაში მიღებული საქმეები: 418

2014: კონსულტაციები რეგიონების მიხედვით (სულ 20732)

- | | | | | |
|------------|-------------|--------------|-----------|--------------|
| ■ თბილისი | ■ მცხეთა | ■ თელავი | ■ რუსთავი | ■ გორი |
| ■ ახალციხე | ■ ზესტაფონი | ■ ქუთაისი | ■ ზუგდიდი | ■ ფოთი |
| ■ ბათუმი | ■ ოზურგეთი | ■ ამბროლაური | ■ მესტია | ■ ახალქალაქი |
| ■ წალკა | ■ მარნეული | ■ საჩხერე | | |




2014: კონსულტაციის სახეობა




2014: კონსულტაციების თემატიკა


■ სამოქალაქო
 ■ ადმინისტრაციული
 ■ სისხლი
 ■ სოციალური
 ■ სხვა




2014: კონსულტაციის მიმღებთა სქესი




2014: კონსულტაციის მიმღებთა ასაკი



2014: კონსულტაციის მიმღებთა სტატუსი



კონსულტაციები და დოკუმენტები



სისხლის სამართლის სიტემის რეფორმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა

*იურიდიული დახმარების სამსახურის სტრატეგია
ხორციელდება 2005 წლიდან, სისხლის სამართლის
მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში. იურიდიული
დახმარების რეფორმას 4 ძირითადი მიზანი აქვს:*

*1) სამსახურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და
სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა, 2) იურიდიული
დახმარების ხელმისაწვდომობის ზრდა, 3) მაღალი ხარისხის
მომსახურების უზრუნველყოფა, 4) საზოგადოების
ცნობიერების ამაღლება*

სამსახურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა

სამსახურის სტატუსი: 2014 წლის 26 იანვარს ძალაში შევიდა იურიდიული დახმარების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, იურიდიული დახმარების სამსახური გამოეყო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს და დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა. სამსახური სამართავად გადაეცა 9-წევრიან იურიდიული დახმარების საბჭოს, რომელიც დაკომპლექტებულია ადვოკატთა ასოციაციის 3 წევრით, ასევე - იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სახალხო დამცველის, საია-ს, სამეცნირო სფეროსა და იურიდიული დახმარების სამსახურის თითო წარმომადგენლით.

საბჭომ გამართა 20 სხდომა და, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებები მიიღო. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, საბჭომ 5 წლის ვადით აირჩია იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი, დაამტკიცა საკუთარი და სამსახურის დებულებები, ასევე - მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის საქმიანობის მარეგულირებელი და სხვა აქტები.

სამსახურის საქმიანობის ფინანსური გარანტიები: 2014 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესს, რაც განპირობებული იყო 2015 წლისთვის გათვალისწინებული აქტივობების შესრულების, კერძოდ, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სამსახურის მანდატის გაფართოების და სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების ვალდებულებით.

იურიდიული დახმარების სამსახურის, იურიდიული დახმარების საბჭოს და საერთაშორისო ორგანიზაციების კოორდინირებული ძალისხმევით, საქართველოს მთავრობასთან და პარლამენტთან ინტენსიური დიალოგის გზით, შესაძლებელი გახდა 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სამსახურისთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების მნიშვნელოვანი ზრდა. კერძოდ, 2014 წლის ბიუჯეტთან შედარებით, სამსახურის 2015 წლის ბიუჯეტი გაიზარდა 51.7%-ით და შეადგინა 4 მილიონ 500 ათასი ლარი. გაზრდილი საბიუჯეტო დაფინანსების პირობებში შესაძლებელი იქნება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მანდატის გაფართოებისთვის საჭირო კადრების რეკრუტირება, არსებული კადრების სახელფასო ფონდის ზრდა, ასევე დამატებითი ბიუროს ამოქმედება კახეთის რეგიონში, კერძოდ, სიღნაღში.

გარდა ამისა, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში, დაიხვეწა სამსახურის დებულება და შინაგანაწესი. ასევე განახლდა სამსახურის ვებგვერდი, რომელზეც განთავსდა ინფორმაცია 2008-2014 წლების სტატისტიკისა და დაფინანსების შესახებ.

იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაზრდა

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სამსახურის მანდატის გაფართოების მიზნით მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებდა ცვლილებების შეტანას „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული ცვლილებები 2014 წლის დეკემბერში მიიღო. ცვლილებების თანახმად, განისაზღვრა სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების კატეგორიები, რომლებზეც იურიდიული დახმარების სამსახური სასამართლოში წარმომადგენლობის განხორციელებას უზრუნველყოფს. გაფართოებული მანდატის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 15 აპრილი. იურიდიული დახმარების საბჭოს მიეცა უფლება, თავისი გადაწყვეტილებით დამატებით განსაზღვროს საქმეთა კატეგორიები, რომლებზეც სამსახური სასამართლოში წარმომადგენლობას განახორციელებს. ადმინისტრაციულ ორგანოში წარმომადგენლობის უზრუნველყოფა 2016 წლის 1 იანვრიდან მოხდება.

გარდა საკანონმდებლო ცვლილებებისა, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, სამსახურმა დაიწყო სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საკითხებზე სამსახურის არსებული კადრების გადამზადება. 2014 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, ჩატარდა 4 ტრენინგი, რომელსაც 20-ზე მეტი იურისტი დაესწრო. არსებული და ახალი კადრების გადამზადების პროცესი 2015 წელსაც გაგრძელდება.

2014 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოება განხორციელდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიმართულებითაც. კერძოდ, 2014 წლის 17 ოქტომბერს, „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტში და „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლში შევიდა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, 2015 წლის 1 იანვრიდან სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს დაევალი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის სამართლებრივი დახმარების გაწევა.

ტერიტორიული დაფარვა

2014 წელს იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომი გახდა დამატებით კიდევ ერთ რეგიონში. 2014 წლის 12 ნოემბერს ამოქმედდა საჩხერის საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც თანამედროვე სტანდარტებით გარემონტდა და აღიჭურვა. შესაბამისი სამუშაოები მთლიანად სამსახურის ბიუჯეტიდან დაფინანსდა. ცენტრში დასაქმდა კონკურსის გზით შერჩეული კონსულტანტით, რომელიც, კანონით დადგენილი წესით, მოქალაქეებს გაუწევს იურიდიულ კონსულტაციებს და შეუდგენს სამართლებრივ დოკუმენტებს.

2014 წლის აპრილში, იურიდიული დახმარების სამსახურის თელავის ბიურო ახალ, კეთილმოწყობილ ოფისში გადავიდა. ოფისის სარემონტო სამუშაოები დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. გარდა ამისა, სამსახურს გადმოეცა საოფისე ფართი სიღნაღში, იურიდიული დახმარების ბიუროსათვის.

2014 წლის მაისში მესტიაში გაიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრის გახსნის ოფიციალური ღონისძიება. ზემო სვანეთში არსებული საკონსულტაციო ცენტრი მესტიისა და მიმდებარე სოფლების 14 ათასზე მეტ მოსახლეს ემსახურება. უფასო იურიდიული კონსულტაციითა და სამართლებრივი დოკუმენტების შედგენის სერვისით სოციალურად დაუცველი მოქალაქეები სარგებლობენ. აღსანიშნავია, რომ სვანეთში იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი 2013 წლის დეკემბერში, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, ამოქმედდა.

2014 წლის დეკემბერში, სამსახურს გადმოეცა საოფისე ფართი, რომელშიც 2015 წელს თბილისის ბიურო გადინაცვლებს. თბილისის ბიუროს არსებულ ოფისს კი სამსახურის ცენტრალური აპარატი დაიკავებს. გარდა აღნიშნულისა, შესრულდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კიდევ ერთი აქტივობა, კერძოდ, თბილისისა და სამცხე-ჯავახეთის ბიუროებში მოძველებული კომპიუტერული ტექნიკა განახლდა.

2014 წლის ნოემბერში, რეფერალური სისტემის ამოქმედების მიზნით, იურიდიული დახმარების სამსახურმა და საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაციამ (სიფა) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. დოკუმენტის თანახმად, სიფა გადახდისუუნარო მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფს უფასო იურიდიულ დახმარებას იმ კატეგორიის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, რომლებზეც იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი არ ვრცელდება.

იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არარეგისტრირებული პირებისათვის

2013 წლის დეკემბერში, „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონში შესული ცვლილებების თანახმად, დაზუსტდა კანონის ის ნორმა, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს ანიჭებდა დისკრეციულ უფლებამოსილებას, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არარეგისტრირებული პირებისათვის, გამონაკლისის სახით, იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ. კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ახალი რედაქციის თანახმად, საგამონაკლისო კრიტერიუმები წინასწარ უნდა დადგენილიყო იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ, რათა დირექტორის დისკრეციული უფლებამოსილება უფრო მიზნობრივად განხორციელებულიყო.

კანონის ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით, იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის და ანალიზის სამმართველომ შეიმუშავა საგამონაკლისო კრიტერიუმების პროექტი, რომელიც იურიდიული დახმარების საბჭომ, თავისი გადაწყვეტილებით, 2014 წლის ივლისში დაამტკიცა.

საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, დადგინდა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არარეგისტრირებულ პირთა წრე, რომლებსაც უფლება აქვთ, მიმართონ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს, მათთვის, გამონაკლისის სახით, იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ.

აღნიშნულ ჩამონათვალში შევიდნენ შემდეგი კატეგორიის პირები:

- გადახდისუუნარო პირები, რომელთა მონაცემებიც მოიპოვება სოციალურად დაუცველთა ბაზის არქივში.
- პირები, რომელთა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დადასტურებულია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაცემული ცნობებით.
- მძიმე და განუკურნებელი სენით დაავადებული პირები.
- მარტოხელა დედა, რომელსაც ჰყავს არასრულწლოვანი შვილები.
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირი.
- ასაკით პენსიონერი.
- პირი, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული ადვოკატის ახლო ნათესავია.

- მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი.

2014 წელს, გამონაკლისის წესით იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ 27 მომართვა შემოვიდა. აქედან, დაკმაყოფილდა 20 მოთხოვნა. დაკმაყოფილებული მომართვებიდან 16 შემთხვევაში დაინიშნა საზოგადოებრივი ადვოკატი, 4 მომართვის საფუძველზე კი იურიდიული დოკუმენტების მომზადდა.

მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა

იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა

2014 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა აქტიურად იმუშავა სისტემაზე, რომელიც სისხლის სამართლის სფეროში გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს უზრუნველყოფს. აღნიშნული სისტემა ორ კომპონენტს ეყრდნობა და მოიცავს: 1) საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის სახელმძღვანელო წესებს და 2) საზოგადოებრივი ადვოკატების მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის, შეფასების კონცეფციას.

სახელმძღვანელო წესები სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე საზოგადოებრივი ადვოკატებისათვის ადგენს საქმიანობის სტანდარტებს. მონიტორინგის და შეფასების კონცეფცია კი გულისხმობს იმ მექანიზმების ჩამოყალიბებას, რომლითაც სახელმძღვანელო წესებით დადგენილ სტანდარტებთან გაწეული მომსახურების შესაბამისობა დადგინდება.

„სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის სახელმძღვანელო წესები“ 2014 წლის დეკემბერში დამტკიცდა. დოკუმენტის მიზანია, უზრუნველყოს იურიდიული დახმარების ბიუროებისა და მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატების მიერ უფასო, დროული და კვალიფიციური იურიდიული დახმარების გაწევა.

წლის ბოლოს ასევე დასრულდა მუშაობა მონიტორინგის და შეფასების კონცეფციის სამუშაო ვერსიაზე, რომელიც ხანგრძლივი კვლევის, უცხოური გამოცდილების შესწავლის და პრაქტიკაში სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოცდის შემდეგ შეიქმნა. აღნიშნული კონცეფციით განსაზღვრულია მონიტორინგის და შეფასების მიზნები, შეფასების სისტემის კრიტერიუმები, ინსტრუქციები შეფასების პროცედურების შესახებ და შესაბამისი მეთოდოლოგიაც.

კონცეფციის თანახმად, გაწეული მომსახურების შეფასების მიზანია: შესრულებული სამუშაოს ეფექტიანობის, დროულობისა და ხარისხის განსაზღვრა და, მოპოვებული მონაცემების საფუძველზე, ისეთი გადაწყვეტილების მიღება,

როგორცაა: ადვოკატის პროფესიული განვითარება, თანამდებობრივი გადაადგილება (რანგირება)წახალისება და სხვა

შემოთავაზებული პროექტით, მონიტორინგის სისტემა გულისხმობს ადვოკატთა საქმიანობის შესწავლასა და შეფასებას ე.წ. Peer review მოდელის გამოყენებით. აღნიშნული მოდელი მიხედვით, საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის შეფასებას მათივე კოლეგა ადვოკატები/იურისტები განახორციელებენ, რაც მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკაა.

მონიტორინგს განახორციელებენ იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის და ანალიზის სამმართველოს იურისტები და ასევე კენჭისყრის საფუძველზე შერჩეული ან შეფასების პირველი პერიოდის შედეგად გამოვლენილი საუკეთესო შედეგების მქონე საზოგადოებრივი ადვოკატები. ისინი შეისწავლიან დასრულებულ სისხლის სამართლის საქმეებს და შესაბამის დასკვნებს და რეკომენდაციებს მოამზადებენ. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის სისტემა კომპლექსურია (3 ეტაპს მოიცავს) და ორიენტირებულია იმაზე, რომ შესაფასებელ ადვოკატს თავისი ცოდნისა და უნარების წარმოჩენის და მისი გაუმჯობესების მაქსიმალური შესაძლებლობა მიეცეს.

იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზაცია

2014 წლის ივნისში, დამტკიცდა იურიდიული დახმარების სამსახურის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარების კონცეფცია. დოკუმენტი აღიარებს აღნიშნულ სფეროში საერთაშორისო ნორმების მნიშვნელობას და საქართველოში მათი ეფექტური იმპლემენტაციის აუცილებლობას. კონცეფციის თანახმად, სამსახურმა აიღო ვალდებულება ყველა იურიდიული დახმარების ბიუროში შეერჩია და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან სამუშაოდ გადაემზადებინა საზოგადოებრივი ადვოკატები.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციისათვის შეირჩა 30 საზოგადოებრივი ადვოკატი, რომლებიც წარმოადგენენ სამსახურის თერთმეტივე იურიდიული დახმარების ბიუროს. სპეციალიზაციისათვის შერჩეული ადვოკატებისთვის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის მხარდაჭერით, ორ ეტაპად, ივნისსა და ოქტომბერში, გაძლიერებული ტრენინგები ჩატარდა.

მენეჯმენტის სისტემის გამართვა, იურიდიული კლინიკებისა და სტაჟირების სისტემების გამართვა

სტრუქტურის ანალიზი: 2014 წლის დეკემბერში, დონორების (ევროკავშირი, UNDP, GIZ, USAID/JILEP) მხარდაჭერით, საკონსულტაციო კომპანია „სინერჯი ჯგუფმა“ დაიწყო იურიდიული დახმარების სამსახურის სტრუქტურის ანალიზის პროექტი. პროექტი მიზნად ისახავს სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარებას ისე, რომ ის მაქსიმალურად ეხმარებოდეს სამსახურს ორგანიზაციული მიზნებისა და სტრატეგიის განხორციელებაში, ასევე, თანამშრომლებს თავისი უნარებისა და კომპეტენციების სათანადოდ რეალიზებაში. პროექტი გულისხმობს არსებული სტრუქტურული გადაწყვეტილებების შესწავლას, საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზს, ახალი სტრუქტურული მოწყობის მოდელის დამუშავებას და ცვლილებების განხორციელების გეგმის შემუშავებას.

საქმეთა განაწილების სისტემა: 2013 წელს თბილისის ბიუროში საქმეთა განაწილების სისტემის დანერგვის შემდეგ, 2014 წლის მარტში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა დაამტკიცა საქმეთა განაწილების სისტემა დანარჩენ იურიდიული დახმარების ბიუროებში. აღნიშნული სისტემა არეგულირებს საქმეთა განაწილებას სამუშაო და არასამუშაო დროს, ასევე უქმე და დასვენების დღეებში. საქმეთა განაწილების სისტემის მიზანია ადვოკატებს შორის საქმეთა თანაბარი განაწილება და მაღალხარისხიანი იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა.

საქმეთა მენეჯმენტის კომპიუტერული პროგრამა: სისხლის სამართლის საქმეთა მენეჯმენტის დახვეწის მიზნით, იურიდიული დახმარების საბჭომ დაამტკიცა სამსახურის მიერ შემუშავებული კომპიუტერული პროგრამა. პროგრამა დანერგილია სამსახურის ყველა ბიუროსა და საკონსულტაციო ცენტრში.

იურიდიული დახმარების სამსახურმა წარმატებით დაასრულა სისხლის სამართლის საქმეთა მენეჯმენტის კომპიუტერული პროგრამის - CaseBank-ის განახლების პროცესი. გაუმჯობესდა პროგრამის ფუნქციონალური შესაძლებლობები, დაიხვეწა პროგრამაში მონაცემთა შეყვანის და დამუშავების პროცესები. პროგრამის განახლება გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა.

განახლებულ პროგრამაში მუშაობის უნარ-ჩვევებზე საორიენტაციო ტრენინგებიც ჩატარდა. თავდაპირველად სწავლება გაიარეს იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროების უფროსებმა და ადვოკატთა ნაწილმა. ხოლო შემდეგ, დატრენინგებულმა თანამშრომლებმა სწავლება თავიანთ ოფისებში, კოლეგებისთვის ჩატარეს.

CaseBank–ი სამი ძირითადი ამოცანის გადაჭრას ემსახურება. კერძოდ, ამარტივებს იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსის, ადვოკატების, კონსულტანტებისა და სპეციალისტების საქმიანობის ორგანიზებას; დაამუშავებს სტატისტიკურ მონაცემებს; უზრუნველყოფს ხარისხისა და დროის მენეჯმენტის ეფექტიანობას. პროგრამა მოიცავს კალენდარს, რომელიც ადვოკატს საქმეებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ვადებისა და მოვლენების შესახებ შეახსენებს. ადვოკატს შეუძლია მარტივად ატვირთოს თავისი შედგენილი დოკუმენტი და საქმესთან ერთად შეინახოს პროგრამაში.

პროგრამა მოსახერხებელია სტატისტიკური მონაცემების გენერირების თვალსაზრისით. მისი მეშვეობით იურიდიული დახმარების ბიუროსა და ადვოკატის მიერ გაწეული საქმიანობა შეიძლება სხვადასხვა კრიტერიუმების, მათ შორის, დანაშაულის კატეგორიის, დასაცავ პირთა ასაკის, სოციალური მდგომარეობის, საქმის სტადიის, საქმეების რაოდენობისა და შედეგების, აგრეთვე მომართვის წყაროს მიხედვით დახარისხდეს. პროგრამაში დაცულია საქმესთან დაკავშირებით შექმნილი ყველა დოკუმენტი.

იურიდიული კლინიკის პროგრამა: იურიდიული დახმარების სამსახური აგრძელებს იურიდიული კლინიკის პროექტის განხორციელებას. 2014 წლის პირველ ნახევარში, იურიდიული დახმარების სამსახურის 6 ბიუროში სტაჟირება გაიარა სხვადასხვა უნივერსიტეტის 32-მა სტუდენტმა. სტაჟირებას ჩაუტარდათ ტრენინგები ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის, სასამართლო ადვოკატების უნარ-ჩვევების, სამართლებრივი წერის კულტურის, გადაწყვეტილების დასაბუთებულობის, კლიენტთან ინტერვიუს ჩატარების საკითხებზე. გარდა ამისა, ისინი მუშაობდნენ რეალურ სისხლის სამართლი საქმეებზე, ხვდებოდნენ დასაცავ პირებს და ამზადებდნენ სამართლებრივ დოკუმენტებს. სტუდენტებმა იმიტირებული სასამართლო პროცესებიც გამართეს. 2014 წლის ოქტომბრის თვიდან სტაჟირებაში მონაწილეობს 20 სტუდენტი შემდეგი უნივერსიტეტებიდან: გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ა.წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანამშრომელთა მუდმივი პროფესიული გადამზადება

პროფესიული გადამზადება: 2014 წელს, მთელი წლის განმავლობაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ შემუშავებული განრიგის შესაბამისად, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებმა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ 30 სხვადასხვა ტრენინგს დაესწრნენ. ყველა ადვოკატმა დააგროვა სავალდებულო კრედიტები პროფესიული ეთიკის საკითხზე, ასევე ყველა ადვოკატმა გაიარა ტრენინგი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხებზე. 20-ზე მეტმა ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო ევროპულ სასამართლოში გასაჩივრების მექანიზმებისა და საერთაშორისო სტანდარტებისადმი მიძღვნილ ტრენინგში. სხვადასხვა რაოდენობის საზოგადოებრივი ადვოკატი დაესწრო ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ დანარჩენ ტრენინგებს.

ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, რომლებსაც იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტები დაესწრნენ:

1. პროფესიული ეთიკა, კლიენტთან ინტერვიუს ჩატარების თავისებურებები და სასამართლო ადვოკატირება
2. შეფასების უნარების განვითარება /სისხლის სამართალი/
3. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში
4. სასამართლოუნარ-ჩვევები
5. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე გამოყენება
6. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ
7. ნაფიც მსაჯულთა შერჩევა
8. ჯვარედინი დაკითხვა
9. საპროცესო შეთანხმება
10. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება
11. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები და გასაჩივრების მექანიზმები
12. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის გამოყენება
13. დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სტანდარტები
14. არბიტრაჟის შესახებ
15. სასაქონლო ნიშნები
16. სისხლის სამართლის პროცესი

17. კრიმინალისტიკა და სასამართლო ექსპერტიზა
18. უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება
19. ტრენერთა ტრენინგი სისხლის სამართლის პროცესში
20. ევროსასამართლოში სარჩელის შედგენის თავისებურებანი
21. მტკიცებულებათა დასაშვებობა და გაცვლა სისხლის სამართლის პროცესში
22. იურიდიული დოკუმენტების შედგენა-მომზადება
23. მედიაცია
24. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები
25. ევროპული კონვენციით გათვალისწინებული გასაჩივრების მექანიზმები
26. საერთაშორისო ევროპული სასამართლოსათვის მიმართვის წესი
27. სამოქალაქო სამართალი: „ინდიკაციური და კონდიციური სარჩელები“
28. ქონების რეგისტრაცია
29. შესავალი და დასკვნითი სიტყვა
30. სამართლებრივი მართლწერა

განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები დაესწრნენ ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს, შემდეგ თემებზე: შესავალი და დასკვნითი სიტყვების, ასევე სამართლებრივი მართლწერა. გარდა ამისა, საზოგადოებრივმა ადვოკატებმა სწავლება გაიარეს ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ შემუშავებული ონლაინ სასწავლო პლატფორმის მეშვეობით. აღნიშნულ პლატფორმა შეიცავს სხვადასხვა სამართლებრივ თემაზე მომზადებულ ვიდეო ლექციებს. ონლაინ სასწავლო პლატფორმის მეშვეობით ტრენინგები გაიმართა გორის, მცხეთის, ქუთაისისა და ზუგდიდის ბიუროებში. სწავლებას დაესწრნენ როგორც იურიდიული დახმარების სამსახურის, ისე კერძო სექტორში მოღვაწე ადვოკატები. მათ მოისმინეს ვიდეო ლექციები შესავალი და დასკვნითი სიტყვის, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმის წარმოებისა და ადვოკატის ქცევის წესების, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესახებ.

2014 წლის თებერვალში, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტ JILEP-ის მხარდაჭერით, რამდენიმე საზოგადოებრივ ადვოკატს ჩაუტარდა ტრენინგები შემდეგ საკითხებზე: კლიენტის მომსახურება; მოლაპარაკება; სამართლებრივი წერა; საქმის მომზადება და პრეზენტაცია; მოწმის დაკითხვა.

2014 წლის ნოემბერში, ევროპის საბჭოს ორგანიზებით, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები დაესწრნენ ტრენინგს ევროპის სოციალური ქარტიით დაცული უფლებების შესახებ.

საორიენტაციო ტრენინგები: 2014 წლის იანვარში, ქუთაისსა და თბილისში, იურიდიული დახმარების სამსახურში ახლადმიღებული ადვოკატებისა და

კონსულტანტებისთვის ჩატარდა საორიენტაციო ტრენინგები პროფესიული ეთიკის, კლიენტთან ინტერვიუს ჩატარების თავისებურებებისა და სასამართლო ადვოკატების თემებზე. აღნიშნული ტრენინგები განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში.

ტრენინგ-საჭიროებების კვლევა: 2015 წლიდან იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის მანდატის გაფართოებასთან დაკავშირებით, ასევე მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით და თანამშრომელთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ჩატარდა იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა გამოკითხვა, რომლის შედეგად ადვოკატებმა წარმოადგინეს მოსაზრებები 2015 წლისათვის აქტუალური სამართლებრივი საკითხების თაობაზე. აღნიშნული კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნება შემდგომი ტრენინგების მიზნობრივად დაგეგმვისათვის.

ბიბლიოთეკების გაძლიერება: 2014 წლის მაისში, ამერიკის იურისტთა ასოციაციამ იურიდიული დახმარების სამსახურს სამართლებრივი ლიტერატურა გადასცა. 8 სახელმძღვანელოსგან შემდგარი კომპლექტები იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებში განაწილდა. სახელმძღვანელოები მომზადდა „ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა“ (ABA ROLI) საქართველოს ოფისის მიერ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს (INL) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით.

ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ გადმოცემული სახელმძღვანელოები:

1. სამართლებრივი მართლწერის უნარ-ჩვევები
2. საპროცესო შეთანხმებისა და მოლაპარაკებების წარმოების უნარ-ჩვევებში (სახელმძღვანელო იურისტებისთვის)
3. სახელმძღვანელო იურისტებისთვის სასამართლო ფსიქიატრიული და ავტოსაგზაო შემთხვევათა ექსპერტიზა
4. შესავალი სიტყვა, დასკვნითი სიტყვა
5. პირდაპირი დაკითხვა და ჯვარედინი დაკითხვა
6. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სახელმძღვანელო იურისტებისთვის)
7. ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციები, ნაფიც მსაჯულთა შერჩევა
8. კრიმინალისტიკის და სასამართლო ექსპერტიზის შესახებ (სახელმძღვანელო იურისტებისთვის)

გარდა ლიტერატურისა, 2014 წლის ივლისში, ამერიკის იურისტთა ასოციაციამ იურიდიული დახმარების სამსახურს გადასცა დისტანციური სწავლების ორგანიზებისთვის საჭირო აღჭურვილობა.

იურიდიული დახმარების ბიუროების ბიბლიოთეკები ასევე გამდიდრდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის გამოცემებითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ გადმოცემული ლიტერატურით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გადმოცემული სახელმძღვანელოები:

1. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები
2. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის სარეკომენდაციო გადაწყვეტილებების კრებული (2013–2014 წლები)

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მიერ გადმოცემული ლიტერატურა:

1. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (სასწავლო კომენტარი)
2. სამოქალაქო კაზუსების ამოხსნის მაგალითები
3. იურიდიული მეთოდების მოძღვრება (რაინჰოლდ ციპელიუსი)
4. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში

მაღალი საზოგადოებრივი ცნობადობა იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ

სამუშაო შეხვედრა ჟურნალისტებთან: 2014 წლის 17-18 მაისს, დაბა სტეფანწმინდაში, ცენტრალური და რეგიონული მედიის წარმომადგენლებისათვის გაიმართა სემინარი, რომლის მიზანიც იყო ჟურნალისტებისთვის იურიდიული დახმარების სფეროში განხორციელებული რეფორმების გაცნობა. შეხვედრას ესწერბოდა 15 ჟურნალისტი, ასევე იურიდიული დახმარების საბჭოს წევრები და იურიდიული დახმარების სამსახურის ცენტრალური და რეგიონული ოფისების თანამშრომლები. ღონისძიება ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა.

ახალი კორპორაციული სტილი: სამსახურის სამართლებრივი სტატუსის ცვლილების შესაბამისად, 2014 წლის აპრილში, იურიდიული დახმარების სამსახურმა ახალი ლოგო შეიმუშავა. ახალი ლოგო განთავსდა სამსახურის ვებგვერდზე.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება: საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამსახურმა 200-ზე მეტი სხვადასხვა ღონისძიება

განახორციელა. 40-მდე სემინარი ჩატარდა სხვადასხვა საჯარო სკოლების უფროსკლასელი მოსწავლეებისათვის, 50-ზე მეტი საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაკებთან (მათ შორის 30-ზე მეტი - ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით), 40-ზე მეტი გასვლითი კონსულტაცია ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა, იმერეთის, და აჭარის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში. მოეწყო ავტოტურები რაჭაში, გურიასა და სვანეთის მაღალმთიან სოფლებში. 30-მდე შეხვედრა გაიმართა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებთან, პრობაციონერებთან, სოციალურად დაუცველებსა და დევნილებთან. სხვადასხვა დროს, ბიუროების საქმიანობა გააშუქეს ქუთაისის, სენაკის, ფოთის, ახალციხისა და რუსთავის რეგიონულმა ტელევიზიებმა და ელექტრონულმა გამოცემებმა.

საერთაშორისო ურთიერთობები

იურიდიული დახმარების სამსახური მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით აქტიურად მუშაობს არა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით, არამედ ჩართულია გლობალურ ინიციატივაში, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით იურიდიული დახმარების სისტემების განვითარებას უკავშირდება. სამსახური მონაწილეობს „იურიდიული დახმარების რეფორმატორთა ქსელში“, რომელშიც საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის, ლიტვის და ბულგარეთის იურიდიული დახმარების სამსახურები შედიან.

გარდა ამისა, სამსახური მხარს უჭერს იურიდიული დახმარების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების იმლემენტაციას, რომელთა მიღების ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოა.

ყირგიზეთში სამართლებრივი დახმარების ქართულ მოდელს გაეცნენ

2014 წლის 10-11 აპრილს, ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში, სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი იურიდიული დახმარების საკითხზე, მრგვალი მაგიდა გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, ყირგიზეთის მთავრობის წარმომადგენლებმა, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამართლებრივი დახმარების სისტემის ჩამოყალიბებაზე იმსჯელეს. მრგვალი მაგიდა ორგანიზებული იყო ყირგიზეთის პრეზიდენტის აპარატისა და იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, ასევე სოროსის ფინდისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით.

საქართველოს მხრიდან, მრგვალ მაგიდაში მონაწილეობა მიიღო იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, მელიტონ ბენიძემ, რომელმაც ყირგიზ კოლეგებს სამართლებრივი დახმარების ქართული მოდელის თავისებურებები გააცნო. მან ვრცლად ისაუბრა იურიდიული დახმარების ადმინისტრირების, ხელმისაწვდომობისა და ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ.

ყირგიზეთმა იურიდიული დახმარების შესახებ კანონი 2009 წელს მიიღო, თუმცა კანონმა სამართლებრივი დახმარების ეფექტიანი მექანიზმის ამოქმედება ვერ უზრუნველყო. ამიტომ, ყირგიზეთის პრეზიდენტის აპარატმა კანონმდებლობის შემდგომი დახვეწისა და, ამ პროცესში, სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლის გადაწყვეტილება მიიღო.

საქართველოს იურიდიული დახმარების სფეროში შედარებით ხანგრძლივი ისტორია და საინტერესო გამოცდილება აქვს. საქართველოში არსებული იურიდიული დახმარების სამსახური მოსახლეობას უფასო საადვოკატო მომსახურებით და სამართლებრივი კონსულტაციებით 2007 წლიდან უზრუნველყოფს. შექმნილია 11 იურიდიული დახმარების ბიურო და 7 საკონსულტაციო ცენტრი, რომელშიც 100-ზე მეტი კვალიფიციური იურისტია დასაქმებული. გარდა ამისა, მოქმედებს იურიდიული დახმარების ისეთი მოდელიც, რომელიც უფასო სამართლებრივ დახმარებაში კერძო სექტორში მოღვაწე ადვოკატების მონაწილეობასაც ითვალისწინებს.

საერთაშორისო კონფერენცია იოჰანესბურგში

2014 წლის 24-26 ივნისს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქმა იოჰანესბურგმა თავი მოუყარა სხვადასხვა სახელმწიფოების, სამოქალაქო ორგანიზაციების, გაერო-ს სააგენტოებისა და საერთაშორისო საექსპერტო საზოგადოების 200 წარმომადგენელს, რომლებმაც მსოფლიოში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის პრობლემაზე იმსჯელეს. მონაწილეთა შორის იყო იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი,

მელიტონ ბენიძე, რომელმაც საქართველოში უფასო სამართლებრივი დახმარების რეფორმის შედეგებზე და გამოწვევებზე ისაუბრა.

საერთაშორისო კონფერენციის განხილვის მთავარი თემა იყო „სისხლის სამართლის სისტემებში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები“, რომელიც გაერო-ს გენერალურმა ასამბლემ 2012 წლის 20 დეკემბერს მიიღო. ეს არის პირველი გლობალური მასშტაბის საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც გაერო-ს ყველა წევრი-სახელმწიფოსთვის ადგენს ძირითად პრინციპებსა და ინსტრუქციებს, სისხლის სამართლის საქმეებზე, სოციალურად დაუცველი და სხვა სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისათვის, ეფექტური იურიდიული დახმარების გაწევის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

გაერო-ს წევრ-სახელმწიფოებს ენიჭებათ დისკრეციული უფლებამოსილება, თავიანთი სამართლებრივი სისტემებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თავისებურებების გათვალისწინებით, შეიმუშაონ და დანერგონ დოკუმენტის იმპლემენტაციის ეფექტური მექანიზმები. ეს კონფერენციაც სწორედ ამ მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობას ემსახურებოდა. აღსანიშნავია, რომ გაეროს მიერ ხსენებული სახელმძღვანელო პრინციპების მიღების ერთ-ერთი ინიციატორი, სხვადასხვა სახელმწიფოსთან ერთად, საქართველოც იყო.

იოჰანესბურგში გამართული საერთაშორისო კონფერენცია სხვადასხვა ორგანიზაციის მხარდაჭერით ჩატარდა. ორგანიზატორებს შორის იყვნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობა, სამხრეთ აფრიკის იურიდიული დახმარების სამსახური, სამართლის საერთაშორისო ფონდი, გაეროს განვითარების პროგრამა, გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, ღია საზოგადოება-სამართლებრივი ინიციატივა, ასევე პრეტორიისა და ვიტვატერსრანდის უნივერსიტეტები.

ერაყის დელეგაცია იურიდიული დახმარების ქართულ მოდელს გაეცნო

2014 წლის სექტემბრის ბოლოს, ერაყის მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა დელეგაცია საქართველოს ხუთდღიანი სასწავლო ვიზიტით ეწვია. ერაყის დელეგაციის ვიზიტი ორგანიზებული იყო USAID-ის მიერ და იურიდიული დახმარების ქართული მოდელის გაცნობას, ასევე ადამიანის უფლებათა კუთხით საქართველოში მომუშავე სახელწმიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილების შესწავლას ითვალისწინებდა.

გაცნობითი შეხვედრის ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, მელიტონ ბენიძემ მიმოიხილა 2005 წლიდან მიმდინარე იურიდიული დახმარების რეფორმა და ერაყელ სტუმრებს ესაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ უზრუნველყოფს სახელმწიფო უფასო სამართლებრივ მომსახურებას სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის. ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

იურიდიული დახმარების ბიუროების მენეჯმენტი, სისხლის სამართლის საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატის ჩართვის პროცედურა, სამართლებრივი დახმარების ხარისხის უზუნველყოფა, იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის მექანიზმები და სხვა. საუბარი შეეხო ადვოკატთა ასოციაციასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკითხებს. ერყის დელეგაცია ასევე იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის ბიუროს ეწვია.

ერყის დელეგაცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო და შედგებოდა ერყის იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, პარლამენტის, პრეზიდენტის საკონსულტაციო საბჭოს, მინისტრთა საბჭოს სამდივნოს, ასევე ადვოკატთა ასოციაციის, სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისგან. ვიზიტის ფარგლებში ისინი შეხვდნენ არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებს, არამედ ნიდერლანდების, ბულგარეთისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის იურიდიული დახმარების სამსახურების ხელმძღვანელებსაც.

ერყის დელეგაციის ვიზიტი ორგანიზებული იყო USAID-ის მიერ, რომელიც 2010 წლის ოქტომბრიდან, ერყში, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პროგრამას ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული დახმარების ქართული მოდელი არაერთხელ გამხდარა უცხო ქვეყნების შესწავლის საგანი. 2011-2012 წლებში მსგავსი ვიზიტებით საქართველოს იორდანის, ყაზახეთის, ინდონეზიის, ბანგლადეშისა და უკრაინის წარმომადგენლები სტუმრობდნენ.

იურიდიული დახმარების სამსახურის გამოწვევები

ანგარიშის ამ ნაწილში წარმოდგენილია ის ძირითადი გამოწვევები, რომელთა წინაშეც იურიდიული დახმარების სამსახური უახლოესი მომავლის განმავლობაში იქნება. ეს გამოწვევები უკავშირდება სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებას, რომელიც სამსახურის მანდატის გაფართოებას ითვალისწინებს, ასევე - მზარდი საბიუჯეტო დაფინანსების უზრუნველყოფასა და საკანონმდებლო ორგანოსთან თანამშრომლობის გაძლიერების საკითხებს.

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმას საქართველოში 10-წლიანი ისტორია აქვს და ამ ხნის მანძილზე იურიდიული დახმარების სამსახურის განვითარების კუთხით არა ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, სამსახური კვლავაც დიდი გამოწვევების წინაშე რჩება. სამსახურის ახალი სამართლებრივი სტატუსი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში მანდატის გაფართოება და სამსახურისთვის დაკისრებული ახალი ვალდებულებები დამატებით ადამიანურ, ტექნიკურ და ფინანსურ რესურსებს მოითხოვს.

2015 წელს, საბიუჯეტო დაფინანსების ზრდის ფარგლებში, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლო წარმომადგენლობის განხორციელების მიზნით, სამსახური აპირებს შესაბამისი კვალიფიკაციის ადვოკატების მოზიდვას. გარდა ამისა, ქალაქ სიღნაღში გაიხსნება იურიდიული დახმარების ბიურო, რაც, კახეთის რეგიონის სიდიდის გათვალისწინებით, კიდევ უფრო მეტად გაზრდის იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას მოსახლეობისათვის.

ამასთან ერთად, გრძელდება მუშაობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტზე, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურს ახალ პასუხისმგებლობას აკისრებს. კერძოდ, პროექტის თანახმად, სამსახურის ადვოკატებს მოუწევთ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების დაცვა როგორც სისხლის სამართლის, ისე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, ასევე მოწმის სტატუსის მქონე არასრულწლოვნების დაცვაც. ამასთან, აღნიშნული სოციალურ ჯგუფთან სამუშაოდ, სამსახურმა უნდა უნდა უზრუნველყოს ადვოკატების სპეციალიზაცია - გადამზადება არასრულწლოვნებთან მუშაობაში. ამ მხრივ, გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა: იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატთა მესამედმა უკვე გაირა გაძლიერებული ტრენინგები და შეიძინა შესაბამისი სპეციალიზაცია. თუმცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი მაღალი სტანდარტების გათვალისწინებით, სამსახურის არსებული ადამიანური რესურსი საკმარისი არ იქნება. შესაბამისად, კოდექსზე მსჯელობისას პარლამენტმა უნდა გაითვალისწინოს მართლმსაჯულების მთელი სისტემის, მათ შორის, იურიდიული დახმარების სამსახურის მზაობა გაზრდილი ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით.

გარდა ადამიანური რესურსებისა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის, ასევე ოჯახში ძალადობისა და სხვა სფეროებში უკვე მიღებული და მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ გაძლიერდეს იურიდიული დახმარების სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობებიც. კერძოდ, სამსახურის არსებული ინფრასტრუქტურა არ არის მზად უპასუხოს გაზრდილ დატვირთვას, რომელიც სამსახურის მანდატის გაფართოებით იქნება გამოწვეული. შესაბამისად, სამსახურის საბიუჯეტო დაფინანსება ადეკვატურად უნდა პასუხობდეს არა მხოლოდ დამატებითი ადამიანური რესურსების მოზიდვის, არამედ სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროებასაც (არსებული ბიუროებისათვის უფრო დიდი საოფისე ფართების მოძიება, სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება და ა.შ.).


მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის საკითხიც. წლების მანძილზე, საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურისთვის გამოყოფილი სახსრები გამოყოფილი იყო ძირითადი ფუნქციის - საადვოკატო მომსახურების განხორციელებისათვის, რასაც ყოვეწლიურად საბიუჯეტო ასიგნებების 75% ხმარდება. ამის გათვალისწინებით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საკითხში, სამსახური სრულად იყო დამოკიდებული საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერაზე. დონორების დახმარებით შეიქმნა სამსახურის ვებგვერდი, გამოიცა სხვადასხვა პუბლიკაციები, დამზადდა სატელევიზიო სარეკლამო კლიპი. ამასთან ერთად, არსებული რესურსების ფარგლებში, სამსახურის ბიუროები რეგულარულად ახორციელებენ გასვლით კონსულტაციებს, რომელთა ფარგლებშიც საზოგადოებრივი ადვოკატები ჩადიან სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში, ადგილზე აცნობენ მოსახლეობას იურიდიული დახმარებით სარგებლობის პირობებს და უწევენ სამართლებრივ კონსულტაციებს. თუმცა, აღნიშნული ღონისძიებები საკმარისი არ არის, რათა მივაღწიოთ ყველა გადახდისუნარო მოქალაქის ინფორმირებას იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ. ამ მხრივ სოლიდური მხარდაჭერა აუცილებელია სახელმწიფოსგან. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი სამსახურის ცნობადობის დონის ამაღლება, რომლის გარეშეც იურიდიული დახმარების სრული ხელმისაწვდომობის პრობლემა ვერ გადაიჭრება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია იურიდიული დახმარების სამსახურსა და პარლამენტს შორის ურთიერთქმედების საკითხი. 2013 წლის ბოლოს, „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, სწორედ პარლამენტი გახდა ის ორგანო, რომლის წინაშეც იურიდიული დახმარების სამსახურს ანგარიშვალდებულება დაეკისრა. ამასთან, პარლამენტს განესაზღვრა მნიშვნელოვანი როლი სამსახურის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში. ამ სიახლეების გათვალისწინებით, აღსანიშნავია, რომ 2014 წელი პარლამენტთან აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობის წელი იყო: სამსახურმა შეძლო კანონმდებელთა სათანადო მხარდაჭერის მოპოვება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში სამსახურის მანდატის გაფართოების, ასევე საბიუჯეტო გარანტიების მიღების კუთხით. თუმცა, სამსახურის შემდგომი განვითარების კონტექსტში, მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტსა და სამსახურს შორის ურთიერთობები უფრო გაძლიერდეს, ხოლო თანამშრომლობა უფრო მკაფიო ფორმატში წარიმართოს. ამ მხრივ, სამსახური მუდმივად მზადაა აქტიურად ითანამშრომლოს პარლამენტთან, როგორც კომიტეტების, ისე საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობის დონეზე.


2014 წლის ფინანსური ანგარიში

იურიდიული დახმარების სამსახური ფინანსურ ანგარიშს წარუდგენს იურიდიული დახმარების საბჭოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ამასთან, საქართველოს პარლემენტი ასრულებს მნიშვნელოვან როლს სამსახურის ბიუჯეტის განსაზღვრაში. კერძოდ, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „სამსახურის ბიუჯეტის პროექტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარედგინება საბჭოსთან შეთანხმებით და საქართველოს პარლამენტთან კონსულტაციის საფუძველზე, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით“.

დაფინანსება, სულ 2952000 ლარი



ხარჯები, სულ 2952000 ლარი



იურიდიული დახმარების სამსახურის პარტნიორები



Empowered lives.
Resilient nations.



USAID | GEORGIA
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

Judicial Independence and Legal Empowerment Project (JILEP)

იურიდიული დახმარების სამსახური (ცენტრალური ოფისი)

მის: რუსთაველის №30, თბილისი 0146, საქართველო

ტელ: +995(32)2920055;

ფაქსი: +995(32)2988493

ელ-ფოსტა: info@legalaid.ge

თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს უფროსი: სულხან კომახიძე

მის: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №140ა,

ტელ: +995(32)2954474; 2954475;

მობ: +995(595)364410

ელ-ფოსტა: skomakhidze@legalaid.ge

მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს უფროსი: ალუდა ბუჩუკური

მის: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №51

ტელ: +995(32)2513873

მობ: +995(595)901705

ელ-ფოსტა: abuchukuri@legalaid.ge

კახეთის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს უფროსი: ლიანა ჭუნიაშვილი

მის: თელავი, ერეკლე II გამზ. №8

ტელ: +995(350)271538

მობ: +995(595)901707

ელ-ფოსტა: ltchuniashvili@legalaid.ge

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს უფროსი: იოსებ ჯამასპიშვილი

მის: რუსთავი, ბათუმის ქ. №17,

ტელ: +995(341)241425

მობ: +995(595)901706

ელ-ფოსტა: ijamaspishvili@legalaid.ge

შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს უფროსი: გიორგი ჯეირანაშვილი

მის: გორი, სამეფოს ქ. №54

ტელ: +995(370)279556

მობ: +995(595)901704

ელ-ფოსტა: gjeiranashvili@legalaid.ge

სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს უფროსი: დავით ზარიძე

მის: ახალციხე, თაბუკაშვილის ქ. №17

ტელ: +995(265)220735

მობ: +995(599)722176

ელ-ფოსტა: dzaridze@legalaid.ge

იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს უფროსი: გელა ბერაძე

მის: ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11

ტელ: +995(492)253637

მობ: +995(595)364441

ელ-ფოსტა: gberadze@legalaid.ge

იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს უფროსი: გელა სიორდია

მის: ქუთაისი, სადგურის მოედანი №3

ტელ: +995(431)253411

მობ: +995(595)901700

ელ-ფოსტა: gsiordia@legalaid.ge

**სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული
დახმარების ბიურო**

ბიუროს უფროსი: რონამ კვიციანი
მის: ზუგდიდი, კოსტავას ქ. №24
ტელ: +995(415)253472
მობ: +995(595)901702

ელ-ფოსტა: rkeidia@legalaid.ge

**სამეგრელოს-ფოთის იურიდიული
დახმარების ბიურო**

ბიუროს უფროსი: ნათია ბოჯგუა
მის: ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №37
ტელ: +995(493)243332
მობ: +995(595)901703

ელ-ფოსტა: nbodjgua@legalaid.ge

აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს უფროსი: იამზე ზანდარაძე
მის: ბათუმი, ბარათაშვილის №27, ბინა 3
ტელ: +995(422) 242449
მობ: +995(595) 901701

ელ-ფოსტა: izandaradze@legalaid.ge

ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი

კონსულტანტი: იამზე მემარნიშვილი
მის: ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1, მე-3 სართ.
ტელ: +995(496)275992
მობ: +995(595)308850

ელ-ფოსტა: imemarnishvili@legalaid.ge

ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი

კონსულტანტი: თეა ჩიკვაძე
მის: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №24
მობ: +995(595) 308847

ელ-ფოსტა: tchikvaidze@legalaid.ge

ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი

კონსულტანტი: ვასილ ბალახაძე
მის: ახალქალაქი, თამარ მეფის №44
მობ: +995(591)996597

ელ-ფოსტა: vbalakhadze@legalaid.ge

წალკის საკონსულტაციო ცენტრი

კონსულტანტი: დავით გოგიჩაიშვილი
მის: წალკა, არისტოტელეს №22
მობ: +995(599) 090091

ელ-ფოსტა: dgogichaishvili@legalaid.ge

მარნეულის საკონსულტაციო ცენტრი

კონსულტანტი: ნინო პაპაშვილი
მის: მარნეული, რუსთაველის №73
მობ: +995(577) 124428

ელ-ფოსტა: npapashvili@legalaid.ge

მესტიის საკონსულტაციო ცენტრი

კონსულტანტი: ავთანდილ ჯაფარიძე
მის: მესტია, სეტის მოედანი №19
მობ: +995(551)201947; +995 (599)294477

ელ-ფოსტა: ajaparidze@legalaid.ge

საჩხერის საკონსულტაციო ცენტრი

კონსულტანტი: ინგა ნოზაძე
მის: საჩხერე, თავისუფლების ქ.№4
მობ: +995(551)449633

ელ-ფოსტა: inozadze@legalaid.ge

